საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**2**

თებერვალი

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
თბილისი

თბილისი—1963

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ბეჭმოწერილია დასაბეჭდად 28/III-63 წელი. ანაწყობის ზომა 6X10. ქაღალდის ზომა 60X84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3,75.

**ფასი 10 კაპ.**

შეკვ. 305. ტ. 5000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография Министерства просвещения Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Ущ. Чхеидзе № 19.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ. 29 იანვრის № 65 ბრძანება

## ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ სკოლა-ინტერნატის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს: სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე; მასწავლებელთა და აღმზრდელთა შორის არაა შეთანხმებული, ერთობლივი მუშაობა. მასწავლებელთა და აღმზრდელთა სამუშაო გეგმები ერთფეროვანია, ზოგიერთი საკლასო ჟურნალი დაუდევრად და უსუფთაოდ არის ნაწარმოები; სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით (აკლიათ წიგნები მშობლიურ ენასა, ისტორიასა, გეოგრაფიასა და ქართულ ენაში). ყოველივე ამის შედეგად მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალია. სკოლა-ინტერნატის დირექტორი ვ. ვართანიანი სუსტად ხელმძღვანელობს სკოლა-ინტერნატის მუშაობას, არასაკმაოდ ესწრება მასწავლებელთა გაკვეთილებს და არ აკონტროლებს აღმზრდელთა ყოველდღიურ მუშაობას.

ინტერნატში სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები ნესტიან სარდაფშია მოთავსებული, რის გამო იარაღ-მოწყობილობა ზიანდება და ფუჭდება.

სკოლა-ინტერნატში ანტისანიტარული მდგომარეობაა: საძინებელ კორპუსში ერთმანეთშია არეული სუფთა და ჭუჭყიანი ტანსაცმელი, სასადილოში ბუზებია, იატაკი ტალახითაა სავსე, სასადილოს მომსახურე პერსონალს უსუფთაო ხალათები აცვია. სასადილო მაგიდები ცხელი წყლით არ იწმინდება, რის გამო გაქონილი და უსუფთაოა.

აღსაზრდელებში არაა დანერგილი ჭამის კულტურული ჩვევები, აღსაზრდელები დანა-ჩანგლით ვერ სარგებლობენ, ჭამის წინ ხელებს არ იბანენ, ჭუჭყიან ხელებს ტანსაცმელზე იწმენდენ; ბავშვები ჩაცმული არიან არაწესიერად, ბევრს აცვია ჭუჭყიანი ტან-

საცმელი, ყველა აღსაზრდელს არ აქვს ცხვირსახოცი, აღსაზრდელები თმაგაუკრეჭავნი და დაუვარცხნელნი არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატის მშენებლობა დღემდე დაუმთავრებელია. საძინებელი კორპუსის პირველი სართულის შიდა სამუშაოებისა და სამეურნეო კორპუსის მშენებლობა დამთავრებული არაა, რის გამო თეთრეული ირეცხება ხელით, ღია ცის ქვეშ, კანალიზაცია არ მუშაობს, საძინებელი კორპუსის აივნებს არ აქვს მოაჯირები, კარ-ფანჯრები ცუდადაა გაკეთებული, ფანჯრების დიდ ნაწილში მინების ნაცვლად ფანერაა ჩასმული; წყალსადენის მილები ღრმად არაა მიწაში ჩაფლული, რის გამო მკაცრი ზამთრის პირობებში წყალი იყინება და მილები ზიანდება; შენობის სახურავი ცუდადაა გაკეთებული და წყალი ჩამოდის.

ინტერნატის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებს: დირექტორმა ვ. ვ. ვართანიანმა და დირექტორის თანაშემწემ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილში ხ. თ. ტარზიანმა ვერ უზრუნველყვეს სახელმწიფო მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობა; სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არ არიან ნორმით გათვალისწინებული ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, რბილი ინვენტარით, კვების პროდუქტებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით და სხვ. მაშინ, როდესაც ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხებიდან 28,0 ათასი მანეთი აუთვისებელი დარჩა.

დამტკიცებული შტატის ზევით 4 დამლაგებელზე ზედმეტადაა გაცემული 480 მანეთი, ხოლო დაწყებითი კლასის მასწავლებლებს რ. ზაკარიანს, ჟ. გრიგორიანს და ვ. ხანდაზეტიანს უკანონოდ მიეცა 134 მან. და 28 კაპ.

სკოლა-ინტერნატში 17 აღმზრდელის ნაცვლად 19 აღმზრდელი მუშაობს, ორ აღმზრდელს ხელფასი ეძლევა 17 აღმზრდელის ხელფასიდან დაქვითული თანხიდან.

წინა წლებში სკოლა-ინტერნატში საბუხჰალტრო საქმიანობა ჩაშლილი იყო. ადგილი ჰქონდა სახელმწიფო თანხების უკანონო და უყაირათო ხარჯვას. ახალციხიდან ახალქალაქის სკოლა-ინტერნატში ქვანახშირისა და შეშის გადაზიდვის გასამრჯელოდ ვინმე მ. აკოფოვზე გაცემულია 98 მან. და 25 კაპ. უსაფუძვლოდაა ჩამოწერილი ანგარიშვალდებულ პირებიდან 251 მან. და 71 კაპიკი. მატერიალურ პასუხისმგებელ პირს საწყობის ყოფ. გამგეს ხ. ა. ნახატაკიანს უკანონოდ აქვს ჩამოწერილი 462 მან. და 58 კაპ. ღირებული კვების პროდუქტები, გარდა ამისა, მასზე დღემდე ირიცხება 134 მან. და 09 კაპ. პროდუქტების დანაკლისი. მიღებული არ

ერის გადამჭრელი ზომები აღსაზრდელთა შენახვის თანხის დავალიანების სალიკვიდაციოდ, რის გამო დავალიანების თანხა 1963 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 1875—46 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასული წლის 1 იანვრიდან 1-ლ ნოემბრამდე აღსაზრდელებს დააკლდათ ნორმასთან შედარებით 10677 ცალი კვერცხი, 339 კგ ნატურალური რძე, 5100 კგ ბოსტნეული, 2393 კგ ახალი ხილი, 2414 კგ თევზი, 1564 კგ ხორცი, 260 კგ კანფეტი, 189 კგ ყველი, 329 კგ ზეთი, 1014 კგ ერბო, 33.7 კგ კაკაო, 986 კგ მაკარონი და 743 კგ პურის ფქვილი, ნორმაზე მეტი ოდენობით გაცემულია 1835 კგ პური, 487 კგ ღერღილი, 163 კგ შაქარი და ნამცხვარი და 885 კგ კარაქი.

კვების ნორმის სისტემატური დარღვევის შედეგად დარღვეულია ერთი აღსაზრდელის კვება-დღის ღირებულება, რაც საშუალოდ უდრის 0—86 კაპ. ნაცვლად დამტკიცებული 0—91 კაპიკისა. ინტერნატში მენიუ-მოთხოვნილება დგება უხარისხოდ და მზადდება ერთფეროვანი, უგემური კერძები, არ ხდება მზა კერძების ლაბორატორიული ანალიზი, შაქარს ჩაიდანში წინასწარ უშვებენ.

სკოლა-ინტერნატს დღემდე არ გააჩნია სამედიცინო სასწორი და სიმაღლის საზომი. ყველა აღსაზრდელს არა აქვს პირადი ჰიგიენის ნივთები (ჯაგრისები, კბილის ფხვნილი, ხელის საპონი და სხვ).

სკოლა-ინტერნატში ხმარებაში რიცხული და უხმარი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი და სხვა რბილი ინვენტარი ირიცხება და ინახება ერთად. თეთრეულის საწყობის გამგეს არა აქვს ხმარებაში არსებული თეთრეულის აღრიცხვის წიგნი, ასევე მოუწესრიგებელია მაგარი ინვენტარის აღრიცხვის საქმეც.

სკოლა-ინტერნატის მიერ შეძენილია სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის განკუთვნილი 220 წყვილი დანა-ჩანგალი, რომელიც გამოუყენებელია, გარდა ამისა 507 მანეთად ღირებული დიდი მაცივარი დაჟანგულია და დაუმონტაჟებელია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლა-ინტერნატის დირექტორმა:

ა) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობაზე. სისტემატურად დაესწროს მასწავლებელთა გაკვეთილებს და სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით გაატაროს სათანადო ღონისძიებანი;

ბ) გადამჭრელი ზომები მიიღოს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად და აღსაზრდელებში პირადი ჰიგიენის ჩვევების დასანერგავად, შეუქმნას აღსაზრდელებს ცხოვრებისა და აღზრდის ნორმალური პირობები;

გ) გამოაცოცხლოს მზრუნველთა საბჭოს მუშაობა, მტკიცე კავშირი დაამყაროს საშეფო ორგანიზაციასთან და მაქსიმალურად გამოიყენოს მისი დახმარება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გადამჭრელი ზომები მიიღოს შენობა-ნაგებობათა წესიერების დასამთავრებლად;

ე) დაუყოვნებლივ მოაწესრიგოს სკოლა-ინტერნატის მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და მოვლა-დაცვის საქმე;

ვ) ზუსტად დაიცვას საფინანსო-საკასო დისციპლინა, არ დაუშვას სახელმწიფო თანხების უკანონოდ და უყაირათოდ ხარჯვის შემთხვევები;

ზ) დაუყოვნებლივ დააზუსტოს და გადაახდევინოს მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს დანაკლისები და შეიტანოს სახელმწიფო ბანკში კრედიტის აღსადგენად. მიიღოს გადამჭრელი ზომები აღსაზრდელთა შენახვის გადასახადი თანხების და დებიტორული დავალიანების სალიკვიდაციოდ.

2. ახალქალაქის განათლების განყოფილების გამგემ კ. კარახანიანმა სისტემატური დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიოს სკოლა-ინტერნატის მუშაობას, პერიოდულად შეისწავლოს ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის მუშაობა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხერელად საკითხი დააყენოს ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ გადამჭრელი ზომები მიიღოს წყალსადენისა და კანალიზაციის მოსაწესრიგებლად და საერთოდ მშენებლობის საქმესთან დაკავშირებულ სხვა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

4. ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის დირექტორი ვ. ვართანიანი სკოლა-ინტერნატის მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისა და სათანადო კონტროლის დაუწესებლობისათვის ღირსია სამუშაოდან მოხსნისა, მაგრამ ვღებულობ რა მხედველობაში ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების თხოვნას, ვუცხადებ სასტიკ საყვედურს უკანასკნელი გაფრთხილებით და ვაფრთხილებ, რომ თუ უმოკლეს დროში არ გამოასწორებს მდგომარეობას, იგი მოხსნილი იქნება სამუშაოდან.

5. ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის დირექტორის თანაშემწეს სამეურნეო ნაწილში ხ. ტ. ტარზიანს სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა ნორმით კუთვნილი კვების პროდუქტებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით მოუმარაგებლობისათვის გამოეცხადოს საყვედური.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკოლა-ინტერნატში სისუფთავის დაუცველობისა და აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმების ჩაუტარებლობისათვის ექიმი ვ. კოვალენკო განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

7. სკოლა-ინტერნატის საქმიანობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის ახალქალაქის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. კარახანიანს მიეთითოს.

8. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 28 იანვრის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ. 29 იანვრის № 66 ბრძანება

### წულუკიძის, გორდისა და საგურამოს სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ წულუკიძის, გორდისა და საგურამოს სკოლა-ინტერნატებს გარკვეული წარმატებები აქვთ მოპოვებული სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. მასწავლებელთა და აღმზრდელთა უმრავლესობა დამაკმაყოფილებლად მუშაობს, სისტემატურად იმაღლებს თავის კვალიფიკაციას და აღწევს სათანადო წარმატებებს საგნების სწავლებასა და სააღმზრდელო მუშაობაში.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ წულუკიძის სკოლა-ინტერნატის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბიოლოგიის, II და III კლასებისა და სიმღერა-მუსიკის მასწავლებლები, უფროსი აღმზრდელი და აღმზრდელები, გორდის სკოლა-ინტერნატის ინგლისური ენის, საწარმოო სწავლების, II და IV კლასების, საგურამოს სკოლა-ინტერნატის რუსული ენისა და IV კლასის მასწავლებლები და აღმზრდელები: მ. სანოძე, თ. ბახტაძე, ლ. რუხაძე, მ. ბეჟანიშვილი, ლ. ჯიმშელეიშვილი, ო. აფხაზავა, კ. ჩიხლაძე, მ. კუხალაშვილი, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ხობუა, ა. ბახტაძე, ნ. ჩიქოვანი, ნ. ჩიხლაძე, მ. ბუზიაშვილი, ნ. თათარაშვილი და ც. სისაური. ამ სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას დამაკმაყოფილებლად აქვს შეთვისებული საპროგრამო მასალა.

საწარმოო სწავლებისათვის კარგი პირობები აქვს შექმნილი გორდის სკოლა-ინტერნატს, მეცხოველეობის ფერმასთან გამოყოფილია თეორიული მეცადინეობისათვის ოთახი; საწარმოო პრაქტიკა და მწარმოებლური შრომა ზოგად-აგრონომიულ დისციპლინებში ტარდება სკოლა-ინტერნატის დამხმარე მეურნეობაში. საგურამოს სკოლა-ინტერნატს აქვს კარგად მოწყობილი ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები; ტარდება ცდების დემონსტრირება და ლაბორატორიული მუშაობა.

წულუკიძისა და გორდის სკოლა-ინტერნატების დირექტორებს (ს. ჭოლოკავა, დ. უგულავა) შედგენილი აქვთ საერთო წლიური და პედაგოგიური საბჭოს ნახევარწლიური სამუშაო გეგმები, მუშაობენ ინიციატიურად და კარგად აწარმოებენ მუშაობის აღრიცხვას (პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები, საკლასო ჟურნალები, მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების საღრიცხვო ჟურნალები).

მიუხედავად ამ ერთგვარი მიღწევებისა, შემოწმებული სკოლა-ინტერნატების მუშაობაში შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებანი.

საგურამოს სკოლა-ინტერნატის გაკვეთილების ცხრილი არ არის შედგენილი მართებულად, არ არის დაცული საგნების შუალედებში განაწილებისა და ათვისების სიძნელის მიხედვით დღეების ნორმალურად დატვირთვის პრინციპი, ქართული, რუსული და უცხო ენა შეტანილია თანმიყოლებით. სკოლა-ინტერნატის წლიური სამუშაო გეგმა ზოგადია. გეგმაში არ არის გათვალისწინებული ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის შესწავლა. ასევე ზოგადია და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებათა გაუთვალისწინებლად არის შედგენილი კლასის ხელმძღვანელთა და აღმზრდელმასწავლებელთა მეოთხედური სამუშაო გეგმები.

ამავე ინტერნატში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის, ინდივიდუალური მეთოდური სამუშაო გეგმები ცუდად არის შედგენილი, უგულებელყოფილია მასწავლებელთა და აღმზრდელთა გაკვეთილებზე ურთიერთ დასწრება, არ სწარმოებს მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. მიღებული დადგენილებანი ხშირად ზოგადია, მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წლის I მეოთხედის შედეგების შესახებ მოსმენილი მოხსენება არ იძლევა მეოთხედში ჩატარებული მუშაობის ანალიზს.

სკოლა-ინტერნატში არ არის მოწყობილი სახელოსნო, რის გამოც ხეზე და ლითონზე მუშაობა არ წარმოებს.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება საწარმოო სწავლება წულუკიძის სკოლა ინტერნატში, რომლის ბაზას ადგილობრივი მრეწველობის საავეჯო საამქრო წარმოადგენს. ეს საამქრო მოუწყობელია, არ ხერხდება ყველა მოსწავლის დასაქმება, საამქროში სრულყოფილად არაა დაცული უსაფრთხოების ტექნიკა და საწარმოო სანიტარიის წესები. შემოწმებისას საავეჯო საამქროში მუშაობა არ მიმდინარეობდა, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებათა გაუტარებლობის გამო.

ამავე ინტერნატში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული კლასგარეშე მუშაობა. ნორჩ ნატურალისტთა და ქიმიის წრეებში კმაყოფილდებიან პროგრამულ საკითხებზე მოხსენებებით მოსმენით; იშვიათად ტარდება პრაქტიკული საქმიანობა; მოსწავლეები არ ამზადებენ გაკვეთილებზე გამოსაყენებელ მარტივ ხელსაწყო-იარაღებს.

წულუკიძის, გორდისა და საგურამოს სკოლა-ინტერნატების ზოგიერთი აღმზრდელი და მასწავლებელი არ მუშაობს მთელი დატვირთვით, პასუხისმგებლობით არ ეკიდება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მოუწესრიგებელია კაბინეტ-ლაბორატორიები, აკლიათ პრაქტიკული მუშაობის წარმოებისათვის თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები. წულუკიძისა და გორდის სკოლა-ინტერნატებს კაბინეტ-ლაბორატორიებში არ აქვთ ყველა და აუცილებელი ხელსაწყო-იარაღები. ნაკლები ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა შორის დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავებას. აღმზრდელები ყოველთვის ვერ უწევენ გაკვეთილების მომზადებაში ბავშვებს საკმაო დახმარებას; მოსწავლეებს აკლიათ სახელმძღვანელოები (გორდის სკოლა-ინტერნატს 7 დასახელებისა—341 ეგზემპლარი, წულუკიძის ინტერნატს—6 დასახელებისა—220 ეგზემპლარი). წიგნები აკლიათ საგურამოს სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებსაც.

გორდის სკოლა-ინტერნატში შემოწმების დღეს, 7 დეკემბერს V, VI, VII, X და XI კლასების აღსაზრდელთა საწოლებში (აღმზრდელები მ. მუშკუდიანი, ჟ. სულაბერიძე, ც. ზერაგია, გ. ჩიქოვანი) ადგილი ჰქონდა უსუფთაობას, ლეიბებისა და ბალიშების ქვეშ ბავშვებს ელაგათ ჭუჭყიანი საცვლები, წინდები, ფეხსაცმელები და სხვ. ამავე ინტერნატში მოსწავლეებში არ არის გამომუშავებული კულტურულად ჩაცმის და ჭამის ჩვევები. ექიმი ა. ჩხეიძე იშვიათად მიდის სკოლა-ინტერნატში. 8 დეკემბერს იზოლატორში საწოლზე ეყარა ჭუჭყიანი ჩემოდნები, ხელის ჩანთები, შარვალ-ხალათი (რაც მუშებს დაეტოვებინათ ღამის გათევის შემდეგ). ამასთან გორდის სკოლა-ინტერნატს დღემდე არ აქვს კეთილმოწყობილი აბანო და სამრეცხაო. სამზარეულო და სასადილო აგრეთვე კეთილმოუწყობელია.

საგურამოს, წულუკიძისა და გორდის სკოლა-ინტერნატების დირექტორები მეტწილად გადატვირთულნი არიან სამეურნეო ხასიათის საქმიანობით და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას. სუსტად მუშაობს გორდის სკოლა-ინტერნატის დირექტორის თანაშემწე სამეურნეო-ადმინისტრაციულ დარგში ვ. ჩიხლაძე. საგურამოს სკოლა-ინტერნატის რბილი და

მაგარი ინვენტარი არ არის დანომრილი და შეტანილი საინვენტარო წიგნში.

საგურამოს სკოლა-ინტერნატში 15 დეკემბრის მდგომარეობით ჩამოყალიბებული არ იყო მზრუნველთა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორდისა და წულუკიძის სკოლა-ინტერნატს ემსახურება მზრუნველთა ერთი და იგივე საბჭო, 1962 წლის იანვრიდან საბჭოს სხდომა მოწვეულია მხოლოდ 2-ჯერ.

გორდის სკოლა-ინტერნატში სასწავლო წლის II მეოთხედში შეფასებულ 288 მოსწავლიდან ასწრებდა 268, ვერ ასწრებდა 20, არ შეფასებულა 4. წულუკიძის სკოლა-ინტერნატში შეფასებულ 281 მოსწავლიდან ასწრებდა 263, ვერ ასწრებდა—18. ამ ინტერნატში 42 კომკავშირელიდან ოროსანია 4. საგურამოს სკოლა-ინტერნატის I—VII კლასებში შეფასებულ 234 მოსწავლიდან ასწრებს 193, ვერ ასწრებს 41. სკოლა-ინტერნატში სუსტადაა დაყენებული პიონერთა შორის მუშაობა, 164 პიონერიდან ვერ ასწრებს 34 პიონერი, მოუწყობელია პიონერთა ოთახი. გორდის, წულუკიძისა და საგურამოს სკოლა-ინტერნატების ზოგიერთი მასწავლებელი ლიბერალურად აფასებს მოსწავლეებს.

სუსტია დირექტორებისა და სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგეთა კონტროლი და დახმარება მასწავლებლებზე. საგურამოს სკოლა-ინტერნატის დირექტორს ა. ლაშხაურს სასწავლო წლის I მეოთხედში მოსმენილი აქვს 18 გაკვეთილი, სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგეს ა. ირემაშვილს—49; გორდის სკოლა-ინტერნატის დირექტორს დ. უგულავას—53 გაკვეთილი, სასწავლო ნაწილის გამგეს შ. ჩიქოვანს—52; წულუკიძის სკოლა-ინტერნატის დირექტორს ს. ჭოლოკავას—42 გაკვეთილი, სასწავლო ნაწილის გამგეს მ. სანოძეს—75 გაკვეთილი. მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი ხშირად ერთფეროვანია, ნაკლები ყურადღება ექცევა შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას.

სკოლა-ინტერნატებში ნაყოფიერად არ სრულდება დღის მეორე ნახევარში რეჟიმით გათვალისწინებული საკითხები; ზოგიერთი აღმზრდელი კლასში ასრულებს მხოლოდ მეთვალყურის როლს.

სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს საგურამოს სკოლა-ინტერნატის I კლასის მოსწავლეებმა ქართულ ენასა და არითმეტიკაში; მასწავლებელი ვ. ბერძენიშვილი კლასში ვერ ამყარებს წესრიგს, მოსწავლეთა უმრავლესობა წერს უსუფთაოდ. ძალზე დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს ამავე სკოლა-ინტერნატის VII კლასის მოსწავლეებმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მასწავლებელი თ. ნადირაშვილი, ყოფილი მასწავლებელი ნ. ნაზღაიძე), საკონტროლო

წერის დროს 28 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო 24 მოსწავლემ.

ცუდად ისწავლება მათემატიკა საგურამოს სკოლა-ინტერნატის V—VII კლასებში (მასწავლებელი ქ. ნიბლაძე). გორდის სკოლა-ინტერნატის V კლასში არითმეტიკის საკონტროლო წერაში 40 მოსწავლიდან ორიანი მიიღო 20 მოსწავლემ, წულუკიძის სკოლა-ინტერნატში 38 მოსწავლიდან—15 მოსწავლემ.

საგურამოს სკოლა-ინტერნატში V—VII კლასების მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა მოუმზადებელი მოდის მათემატიკის გაკვეთილზე. ზოგჯერ მასწავლებელი ქ. ნიბლაძე ვერ ამჩნევს და არ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს; იგი სუსტად იყენებს თვალსაჩინოებასა და მოსწავლეებს დაუმსახურებლად უწერს მაღალ ნიშნებს. შემოწმების პროცესში ალგებრაში ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად VII კლასის 28 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი ნიშანი დაეწერა 20 მოსწავლეს.

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს რუსულ ენაში საგურამოს V და წულუკიძის VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებლები თ. ბერეგოვოი, თ. ტაბიძე). მასწავლებელი თ. ტაბიძე მთელი მონდომებით არ მუშაობს მოსწავლეებთან, სწავლების დროს არ იყენებს თვალსაჩინოებას, წერითი სამუშაოს შესრულებისას იგი მოსწავლეებს არ აძლევს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებს, ზოგჯერ თვალს არიდებს მოსწავლეთა მიერ „შპარგალკების“ მასობრივად გამოყენებას. VIII კლასში საკონტროლო წერის დროს 27 მოსწავლის ნამუშევარი ორზე იქნა შეფასებული. დაბალ დონეზეა დაყენებული ქიმიის სწავლება წულუკიძისა და გორდის სკოლა-ინტერნატების VIII, X, XI კლასებში (მასწავლებლები: ე. რუხაძე და ა. ძველაია). VIII კლასის მოსწავლეებმა ძალზე სუსტად იციან განვლილი მასალა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა და სასწავლო-საალმზრდელო ნაწილის გამგეებმა:

ა) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებლების და აღმზრდელების მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები და მიაღწიონ მათი პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფას და სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას;

ბ) პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე სასწავლო მეოთხედების ბოლოს მოახდინონ მეოთხედის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის ღრმა ანალიზი, გამოავლინონ სასწავლო-აღმზრდელობით

მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი მათ სალიკვიდაციოდ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეთოდურ მუშაობას, სისტემატურად ხდებოდეს აღმზრდელების დასწრებანი მასწავლებელთა გაკვეთილებზე, ეწყობოდეს ურთიერთშორის გამოცდილების განზოგადება;

დ) სისტემატური კონტროლის ნიადაგზე მიაღწიონ იმას, რომ საპროგრამო მასალის გავლის დროს მასწავლებლებმა აუცილებლად გამოიყენონ თვალსაჩინოება, ჩაატარონ ცდები და მოაწყონ ლაბორატორიული მუშაობა.

2. სუსტი მუშაობისა და სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისათვის საგურამოს სკოლა-ინტერნატის V—VII კლასების მათემატიკისა და 1 კლასის მასწავლებლებს ქ. ნიბლაძესა და ე. ბერძენიშვილს გამოეცხადოთ საყვედური.

3. მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონისა და აღსაზრდელთა შორის საალმზრდელო, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის საქმეში უყურადღებობის გამოჩენისათვის წულუკიძის სკოლა-ინტერნატის VIII კლასის რუსული ენის, V კლასის არითმეტიკის მასწავლებლებს თ. ტაბიძეს, კ. კინწურაშვილს, გორდის სკოლა-ინტერნატის უფროს აღმზრდელს ი. გელენიძეს, აღმზრდელებს მ. მუშკუდიანს, ე. სულაბერიძეს, ნ. თვალთვაძეს, ც. ზერაგიას, გ. ჩიქოვანს მიეთითოთ.

4. დაევალოს დუშეთისა და სამტრედიის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს (ა. ბალხამიშვილი, ვ. თევზაძე) ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა შეამოწმონ სასწავლო წლის მეოთხე მეოთხედში, შედეგები მოისმინონ განათლების საბჭოს სხდომაზე და მიღებულ ღონისძიებათა შესახებ მოახსენონ კოლეგიას 15 მაისამდე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 28 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ. 29 იანვრის № 67 გრძანება

### თელავისა და ყვარლის რაიონების საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ქ. თელავის საბავშვო ბაღებში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა. ყვარლის რაიონის საბავშვო ბაღების მუშაობას კი სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს.

ყვარლის საბავშვო ბაღს (გამგე მ. ზაუტაშვილი) არა აქვს შესაფერისი ნივთიერი ბაზა; იგი მოთავსებულია შეგუებულ შენობაში. ამ შენობის დიდი ნაწილი ბავშვთა ბაგას უკავია. საბავშვო ბაღს კი უჭირავს მხოლოდ ორი ოთახი, რომელშიც სამი ჯგუფია 77 ბავშვით. სამზარეულოსათვის გამოყოფილ ორ მეტრ ფართზე ნაკლებ ოთახში თუნუქის ღუმელი დგას, რომელსაც თითქმის მთელი სამუშაო დღის მანძილზე ანთებენ. სამზარეულოს ნახევრად აფიცრული კედლის იქით უწესრიგოდ არის მოთავსებული წყობიდან გამოსული ავეჯი და ნივთები. ჯგუფის ოთახები და სამზარეულო არ არის იზოლირებული ერთმანეთისაგან. სამზარეულო სახანძრო თვალსაზრისით საშიში მდგომარეობის წინაშე აყენებს ბაღს.

საბავშვო ბაღს აკლია მაგარი ავეჯი, არსებული ავეჯიც მწყობრიდანაა გამოსული.

ბაღს აკლია დიდაქტიკური სათამაშოები, ეზოსა და სამაგიდო, საშენი მასალები, ფუნჯები, ფერადი ქაღალდები; ეზოში არ არის სპორტული იარაღები.

მენიუ-მოთხოვნილება იწერება მოძველებული ფორმის ბლანკზე, რომელშიც ზოგჯერ არ აღინიშნება კვებაზე აყვანილ ბავშვთა რაოდენობა.

ძალზე მძიმე მდგომარეობაა ყვარლის რაიონის სოფ. ოქტომბრის საბავშვო ბაღში, რომელიც აერთიანებს 2 ჯგუფს 50 ბავ-

შვით და სამ ნახევარი საშტატო ერთეულით. ბაღის გამგე ქ. ჩიკვაიძე ვერ უწევს ხელმძღვანელობას ბაღის სამეურნეო-საფინანსო და სააღმზრდელო საქმიანობას. საბავშვო ბაღს აქვს ხეხილოვანი ბაღი და დიდი ეზო, რომელიც მოუვლელი და შეუღობავია. ეზო არის აღრიცხული და შემოსავალში გატარებული ნაკვეთის მოსავალი. პროდუქტების გაცემა და განაწილება მოუწესრიგებელია. ბაღის ცუდი მომარაგების გამო კვების ფული აუთვისებელი რჩება. ოთახებში უსუფთაობაა, აღსაზრდელები მოუვლელი არიან, ხელები ჭუჭყიანი და ფრჩხილები დაუჭრელი აქვთ. ბევრ ბავშვს არ აქვს ინდივიდუალური პირსახოცები. აღმზრდელები სკოლამდელი საქმის უცოდინარობას ამჟღავნებენ, მათ არ გააჩნიათ საბავშვო და მეთოდური ლიტერატურა, დიდაქტიკური სათამაშოები, ხელსაწყოები და სხვა საჭირო მასალები. დღემდე სრულებით არა ჩანს ყვარლის განათლების განყოფილების ხელმძღვანელობა და კონტროლი საბავშვო ბაღების მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ყვარლის განათლების განყოფილების გამგეს ქმედითი ზომების მიღება ყვარლის საბავშვო ბაღის საბინაო პირობების არსებითად გაუმჯობესებისათვის. მანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რაიონის საბავშვო ბაღების შენობა-ნაგებობათა მიმდინარე და კაპიტალური შეკეთებისა და ეზოების კეთილმოწყობისა და შემოღობვის საქმეს და სისტემატური კონტროლი და საქმიანი დახმარება გაუწიოს რაიონის ყველა საბავშვო ბაღს, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა თელავისა და ყვარლის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკების პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მოაწყოს ადგილზე მუშაობისაგან მოუწყვეტლად კურს-სემინარები.

3. ყვარლის რაიონის სოფ. ოქტომბრის საბავშვო ბაღის გამგე ქ. ჩიკვაიძე, ბაღის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის განთავისუფლდეს თანამდებობიდან.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 28 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ. 31 იანვრის № 75 ბრძანება

ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 იანვრის № 31 დადგენილებას საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შეხრულების მდგომარეობისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 31

1963 წლის 18 იანვარი
ქ. თბილისი

**საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულების მდგომარეობისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების საქმეს სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს.

1962—1963 სასწავლო წლის დამდეგისათვის რესპუბლიკაში სწავლებაში არ იყო ჩაბმული სასკოლო ასაკის 5405 ბავშვი, მათ შორის 7 წლის ასაკის 496 ბავშვი. მაგალითად, აჭარის ასს რესპუბლიკაში სკოლის გარეთ იყო სასკოლო ასაკის 420 ბავშვი (მათ შორის 7 წლის ასაკის 13 ბავშვი), აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში —284 (მათ შორის 7 წლის ასაკის 32), სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—306 (მათ შორის 7 წლის—25), ქ. თბილისში —178 (მათ შორის 7 წლის—21), ბოლნისის რაიონში—407 (მათ შორის 7 წლის—13), ახალქალაქის რაიონში—243 (მათ შორის 7 წლის ასაკის—20), გორის რაიონში—206 (მათ შორის 7 წლის—20), ახალციხის რაიონში—132 (მათ შორის 7 წლის—11).

შემოწმებით გამოირკვა, რომ სათანადო წესრიგი არ არის დამყარებული საკომლო წიგნებსა და საბინაო დავთრებში სასკო-

ლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ჩაწერა-ამოწერის საქმეში, ადგილი აქვს სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის დარღვევას, საჭირო შემთხვევაში არ წარმოებს სასკოლო სპორტო საშუალებათა გამოყოფა სკოლაში მოსწავლეების მიყვანისა და უკან დაბრუნებისათვის, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სასკოლო ინტერნატებისა და გახანგრძლივებული დღის სკოლების (ჯგუფების) მოწყობას, საყოველთაო სწავლების ფონდის გამოყენებას ხელმოკლე ოჯახების ბავშვებისადმი მატერიალური დახმარებისათვის, სკოლებში სასადილოებისა და ბუფეტების მოწყობას, ნორმალური სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნასა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურებას.

სკოლების ერთ ნაწილში ჯერ კიდევ სუსტადაა დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა; დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, დიდია მეორეწლიანთა რაოდენობა; სათანადო მუშაობა არ ტარდება მოსწავლეთა მშობლებთან, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა განთესვას სკოლიდან. მაგალითად, 1961—1962 სასწავლო წელს საქართველოს სსრ სკოლებიდან გავიდა 23 ათასი მოსწავლე, ანუ 3, 3 პროცენტი, იმავე კლასებში დატოვებულ იქნა 55, 653 მოსწავლე, ანუ 7, 4 პროცენტი (მათ შორის პირველ კლასში—5028 მოსწავლე, ანუ 5, 1 პროცენტი).

**საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების საქმეში არსებული შეუწყნარებელი ნაკლოვანებანი იმითაა გამოწვეული, რომ ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ღონისძიებას საჭირო ყურადღებას არ აქცევენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ადგილობრივი ორგანოები.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. **დაევალოს** აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა **საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის** ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს:

ა) ორი კვირის ვადაში დაარეგისტრონ სკოლის გარეთ დარჩენილ და მათ სამოქმედო უბანზე ახალმოსულ ბავშვთა კონტინგენტი და უზრუნველყონ მათი ჩაბმა სწავლებაში;

ბ) სრულ წესრიგში მოიყვანონ საკომლო წიგნებსა და საბი-

ნაო დავთრებში სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა და შემდგომ დროულად შეიტანონ მათში საჭირო ცვლილებები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვისას მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 ივლისის № 579 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციით. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ 7 წლის ასაკის ბავშვთა სწავლებაში ჩაბმას;

დ) იზრუნონ სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის და მრავალცვლიანი მეცადინეობის ლიკვიდაციისათვის, საყოველთაო სწავლების ფონდის გაზრდისათვის; საჭირო შემთხვევაში უზრუნველყონ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფა სკოლაში მოსწავლეთა მიყვანისა და უკან დაბრუნებისათვის;

ე) სისტემატური კონტროლი გაუწიონ მათ სამოქმედო უბნებში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელებას; გაითვალისწინონ, რომ პირველ რიგში მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ღონისძიების გატარების საქმეში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) სახალხო განათლების ქსელის გაშლა-გაფართოება აწარმოოს იმის გათვალისწინებით, რომ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვს შეექმნას უკეთესი პირობები ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი განათლების მისაღებად;

ბ) გაზარდოს სპეციალური სკოლების, სასკოლო ინტერნატებისა და გახანგრძლივებული დღის სკოლების (ჯგუფების) ქსელი, არ დაუშვას მცირეწლოვან ბავშვთა ჩარიცხვა პირველ კლასში; იზრუნოს სკოლებში სასადილოებისა და ბუფეტების მოწყობისა და ნორმალური სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნისათვის; რაციონალურად და დანიშნულებისამებრ გამოიყენოს საყოველთაო სწავლების ფონდი ხელმოკლე ოჯახების ბავშვებისადმი მატერიალური დახმარების გასაწევად;

გ) გადაჭრით აამაღლოს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე; მეტი დახმარება გაუწიოს დამოუკიდებლად არსებულ დაწყებით სკოლებს, გააუმჯობესოს მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობა; უზრუნველყოს მოსწავლეთა მთელი კონტინგენტის შენარჩუნება საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების მთელი პერიოდისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ განათლების სა-

მინისტროს ერთი თვის ვადაში დააზუსტონ საბავშვო სახლებში მოსაწყობ ბავშვთა კონტინგენტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი რესპუბლიკაში არსებული საბავშვო სახლების ქსელის გაფართოების საჭიროების შესახებ.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ გააძლიეროს დახმარება და ხელმძღვანელობა ადგილობრივი ორგანოებისადმი სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვისა და სწავლებაში ჩაბმის საქმეში.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს 1963 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ ანგარიში ამ დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე**"

## აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად ვბრძანებ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ა/წლის 25 თებერვლამდე შეისწავლონ საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობა, შემოწმების შედეგები განიხილონ სამინისტროს კოლეგიებისა და განათლების განყოფილებათა საბჭოების სხდომებზე; მიიღონ კატეგორიული ზომები სკოლის გარეთ დარჩენილ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის უკლებლივ სკოლაში ჩასაბმელად;

ბ) მტკიცე კონტროლი დააწესონ წინა წლებში სკოლებში ჩაურიცხავი და სკოლებიდან განთესილი რვაწლიანი სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვის სისწორეზე და ამ საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 ივლისის № 599 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციით;

გ) უზრუნველყონ შვიდი წლის ასაკის ყველა ბავშვის სკოლაში ჩაბმა და არ დაუშვან მცირეწლოვან ბავშვთა პირველ კლასში ჩარიცხვა;

დ) არსებითად გააუმჯობესონ აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობა;

ე) არ დაუშვან მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შეუსრულებლობა და უზრუნველყონ სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა შენარჩუნება საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების მთელი პერიოდისათვის;

ვ) არსებითად გააუმჯობესონ სპეციალური სკოლების, სასკოლო ინტერნატებისა და გახანგრძლივებული დღის სკოლების (ჯგუფების) მუშაობა;

ზ) საჭირო ზომები მიიღონ სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის; სათანადო კონტროლი დააწესონ საყოველთაო სწავლების ფონდის დანიშნულებისამებრ ხარჯვაზე.

2. სკოლის გამგეებმა და დირექტორებმა:

ა) წესრიგი დაამყარონ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვის საქმეში და უზრუნველყონ სკოლის გარეთ დარჩენილი სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ჩაბმა სწავლებაში;

ბ) იზრუნონ სწავლებაში ჩაბმულ ყველა ბავშვის შენარჩუნებისათვის რვაწლიანი სკოლის ფარგლებში;

გ) აამაღლონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაო-

ბის დონე; გააუმჯობესონ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობა.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად ორი კვირის ვადაში დააზუსტოს საბავშვო სახლებში მოსაწყობ ბავშვთა კონტინგენტი და საბავშვო სახლების ქსელის გაფართოების საჭიროების საკითხი.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ა/ წლის 10 სექტემბრისათვის წარუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ანგარიში ამ ბრძანების შესრულების შესახებ.

5. მინისტრის მოადგილემ ამხ. უშ. ობოლაძემ კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმისა

## 1963 წლის 8 თებერვალი

### საქართველოს სსრ სკოლების მოსწავლეთა შორის სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა შორის სპორტული მომზადების საქმე უკანასკნელი წლების პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა.

სასკოლო სპორტული ორგანიზაციები გადაჭარბებით ასრულებენ სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების გეგმებს. 1962 წელს სკოლების მიერ მომზადებულია 36 923 სპორტსმენი თანრიგოსანი, ამათგან 20-მდე სპორტის ოსტატი, 2128 პირველი და მეორე თანრიგოსანი. რესპუბლიკაში შექმნილია სპორტული სკოლების ფართო ქსელი (63 სპორტული სკოლა); შემოღებულია ბავშვთა შორის სპორტული მუშაობის ახალი ორგანიზაციული ფორმები; რესპუბლიკის ყველა სკოლა-ინტერნატში გახსნილია 305 ჯგუფი სპორტის სხვადასხვა სახეობაში სპორტსმენ თანგრიგოსანთა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მოსამზადებლად; დაარსებულია რესპუბლიკური სპორტული სკოლა, რომელიც გარდა სასწავლო და მეთოდური მუშაობისა (ფილიალების საშუალებით), ხელმძღვანელობს მეორე სკოლა-ინტერნატში საწარმოო სწავლებას სპორტული პროფილით, ამზადებს რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებ გუნდს სპარტაკიადებისათვის.

ამასთან ერთად, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომისიისა, განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკური სპორტკავშირის მიერ ჩატარებული შემოწმების მასალებით დად-

გინდა, ბავშვთა შორის სპორტულ მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის რაიონების სპორტულმა სკოლებმა დღემდე ვერ შესძლეს სპორტული განყოფილებების გამსხვილება და მუშაობის გაღრმავება სპორტის ერთ-ორ წამყვან სახეობაში, მცირერიცხოვანი ჯგუფების მქონე განყოფილებების ლიკვიდაციის ხარჯზე. ამის შედეგად აღნიშნულ სპორტსკოლების გამოსაშვები კონტინგენტის მომზადება დაბალი ხარისხისაა.

63 ბავშვთა სპორტული სკოლიდან გამოშვებულ 2540 მოსწავლიდან 1458 პირველი და მეორე თანრიგოსანი მოსწავლე (გამოშვებული კონტინგენტის 43,5%) მომზადებული იყო მხოლოდ 35 სპორტულ სკოლაში. მთელი რიგი რაიონებისა და ქალაქების სპორტულმა სკოლებმა (ახალქალაქის, გურჯაანის, ცხაკაიას რაიონები, ქ. ქ. ბორჯომი, წულუკიძე და სხვა) დღემდე ვერ უზრუნველყვეს სასწავლო-სპორტული მუშაობის იმ დონეზე დაყენება, რომ რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე მოსწავლეებმა მძლეოსნობაში შეასრულონ დებულებით მოთხოვნილი სათანრიგო ნორმატივები, მისცენ სპორტის რომელიმე სახეობაში ნაკრებ გუნდს მომზადებული კანდიდატი, გამოავლინონ რაიონში პერსპექტიული მოსწავლეები და მოამზადონ მათგან მაღალთანრიგოსანი სპორტსმენები.

სპორტსმენების უმეტესობა მუშაობს 1953 წელს დამტკიცებული დებულებით, რომელიც საჭიროებს გადასინჯვას.

სპორტსკოლებში მწვრთნელების მიერ ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა მოითხოვს შემდგომ გაუმჯობესებას. რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორმა დ. კინწურაშვილმა სპორტსკოლის მწვრთნელებს კუბლაშვილს, სანაძეს, ტახტაროვს, ოდიშარიას, ზაზროევს და შენგელიას, სპორტსკოლის მიერ მივლინებაში გაგზავნის დღეებში, ნაცვლად საშუალო ხელფასისა, მისცა გეგმით გათვალისწინებული საათების ღირებულება მწვრთნელების მიერ წარმოდგენილი ტაბელის მიხედვით. ასევე, არის ფაქტები, როდესაც საათობრივ ანაზღაურებაზე მყოფ მწვრთნელებს, სხვა ორგანოს დავალებით მივლინების დროს ენახებათ საშუალო ხელფასი (თბილისის ფეხბურთის, მძლეოსნობისა და რესპუბლიკური სპორტული სკოლები).

ბევრი სასპორტო სკოლა სრული პასუხისმგებლობით არ ეკიდება მოსწავლეთა შერჩევისა და ჯგუფების დაკომპლექტების საქმეს. ზოგჯერ არ არის დაცული სპორტის სახეობის სპეციფიკით მოთხოვნილი ასაკი. ქუთაისის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში კლასიკური ჭიდაობის 3 ჯგუფის 38 მოსწავლიდან—19 მოსწავლე

14 წლის ასაკამდეა; ამავე დროს ცურვაში, სადაც უმცროსი ასაკიდან უნდა იწყებოდეს წვრთნა, 48 მოსწავლიდან მხოლოდ 5 მოსწავლეა 14 წლამდე ასაკისა; ბათუმის კომპლექსურ სპორტსკოლაში, თავისუფალ ჭიდაობაში, კრივში და ვეოლსპორტში 77 მოსწავლიდან 42 მოსწავლე 14 წლამდე ასაკისაა, რაც სპორტსკოლების დებულებით სპორტის ამ სახეობებში არ არის ნებადართული.

ბოგონათა რაოდენობა სპორტსკოლებში 30% არ აღემატება, სპორტის რიგ სახეობებში (მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ჩოგბურთი, წყალში ხტომა, ცურვა და სხვა) მეტად მცირეა ქართული სკოლების მოსწავლეთა რიცხვი.

ზოგიერთ სპორტსკოლაში მოსწავლეთა განთესვა დიდია; ასე, მაგალითად, 1961 წლის განმავლობაში ქ. ქუთაისის ტანვარჯიშის სპორტსკოლის 315 მოსწავლიდან განითესა 80 მოსწავლე; ქ. თბილისის მძლეოსნობის სპორტსკოლის 234 მოსწავლიდან—110, რკინიგზის სასპორტო სკოლის 468 მოსწავლიდან—161 და ა. შ.

ნორჩ სპორტსმენთა მასობრივ მომზადებას ხელს უშლის ცალკეული მწვრთნელების ისეთი არასწორი მოქმედება, როდესაც მაღალთანრიგოსან მოსწავლე სპორტსმენებს აფორმებენ სხვადასხვა ნებაყოფლობით საზოგადოებებში.

ასე, მაგალითად, სოხუმის სპორტული სკოლების მწვრთნელებმა ხუბულავამ, კერსელიანმა, თბილისის სპორტსკოლების მწვრთნელებმა ალთუნაშვილმა, კილაძემ, ნოზაძემ, შენგელიამ, ქოვლიევამ, გაგუამ, ქუთაისის ტანვარჯიშის სპორტსკოლიდან—ი. თავდიდიშვილმა, ბათუმისა—გაბრიაძემ და სხვებმა, განათლების ორგანოების ნებართვის გარეშე გააფორმეს ბავშვები სხვადასხვა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში და მოზარდთა ასაკის დამთავრებამდე გადატვირთეს ისინი მოზრდილთა შეჯიბრებებით.

ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული მწვრთნელთა დატვირთვის, შემთავსებლობისა და სპორტსკოლებში მათი დამაგრების საქმე.

'ოკპოწმებამ გამოავლინა, რომ მნიშვნელოვან დარღვევებს ჰქონდა ადგილი ქ. სოხუმის სპორტთამაშობათა სპორტულ სკოლაში. სკოლას არ გააჩნია ბრძანების წიგნი და მოსწავლეთა სია, მწვრთნელები დანიშნული იყვნენ ბრძანების გარეშე, არ წარმოებდა ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა, 1962 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იყო მოწვეული მწვრთნელთა საბჭო, არ იყო შექმნილი მშობელთა კომიტეტი. აღნიშნულ სპორტსკოლაში ადგილი ჰქონდა არასწორად ხელფასის გაცემის შემთხვევებს (მამაცევს—84 მანეთი ეძლეოდა, ხოლო ფეხბურთის მწვრთნელს ლომინაძეს—174 მანეთი).

ქ. ბათუმის მძლეოსნურ სპორტულ სკოლაში არ არის დაკმაყოფილი განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ჯგუფების რაოდენობა—28 ჯგუფის ნაცვლად მოქმედებდა 18 ჯგუფი. ბათუმის წყალჯომარდობის სპორტსკოლაში ცურვის 10 დროებითი ჯგუფის ნაცვლად მუშაობდა 4, წყალბურთში ნაცვლად 6 ჯგუფისა—ერთი ჯგუფი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკურ სპორტულ სკოლაში, შემოწმების პერიოდში, აგრეთვე ადგილი ჰქონდა ზოგიერთი სტრუქტურული ხასიათის დარღვევებს; ამ სპორტული სკოლის დებულება მოითხოვს გადასინჯვას და მასში საათანადო ცვლილებების შეტანას.

1961 წელს სპორტსკოლადამთავრებულთა ნაწილს დიპლომის მაგივრად მიეცა საკლასიფიკაციო ბილეთები (აფხაზეთის და აჭარის ასსრ, თბილისის, ქუთაისის სპორტსკოლებში).

ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტი, იმ დიდი მოცულობის მუშაობასთან ერთად, რაც დაკავშირებულია ბავშვთა შორის სპორტული ღონისძიებების ჩატარებასთან, შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს რაიონებსა და ქალაქებში სპორტული მუშაობის ადგილზე საფუძვლიანად შესწავლას და საკითხების მომზადებას კოლეგიის სხდომებზე განსახილველად.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე ნებაყოფლობითი სპორტული ორგანიზაციების მუშაობა ბავშვთა შორის.

სპორტსაზოგადოება „ქარიშხალას“ ბავშვთა 40 ჯგუფში, სადაც ირიცხება 577 მოსწავლე, მუშაობა არ არის მოწესრიგებული. არ არის ორგანიზაციულად გაფორმებული საზოგადოებების „განთიადის“ და „შრომითი რეზერვების“ სასპორტო სკოლები, ხოლო „შრომითი რეზერვების“ 88 სპორტულ ჯგუფში, ბავშვთა ჯგუფები ცალკე არ არის აღრიცხული.

სპორტსაზოგადოება „დინამოში“ ბავშვთა შორის მუშაობისათვის გამოყოფილ 37 მწვრთნელზე მეტად მცირე რაოდენობით იყო გათვალისწინებული სპორტსმენ-თანრიგოსნების მომზადება.

არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება სპორტული საზოგადოებების მიერ სასკოლო კოლექტივებზე შეფობა. დადგენილება სკოლებისათვის ბაზების დილის საათებში უფასოდ გადაცემის შესახებ, ფაქტიურად არ სრულდება.

ბავშვთა შორის სპორტული მუშაობის განვითარებას მეტად უშლის ხელს ის გარემოება, რომ ბავშვებს არა აქვს საკუთარი კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები. ახლად აშენებულ სკოლებში დარბაზები მოუწყობელია ინვენტარით, რიგი სკოლების ადმინის-

ტრაცია სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება სასკოლო მოედნების მოწყობის საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო ორგანიზაციები ცუდად ამარაგებენ სკოლებს სათანადო სპორტული ტანსაცმელითა და ინვენტარით.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოსა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების მიერ გამოშვებული სპორტული ტანსაცმელი დაბალი ხარისხისაა და ვერ აკმაყოფილებს სკოლების გაზრდილ მოთხოვნილებებს.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ბავშვთა სპორტის პროპაგანდა მოსახლეობაში, გაზეთები, რადიო და ტელეგადაცემები ჯერდებიან შეჯიბრებების შესახებ ინფორმაციას და ნაკლებად აშუქებენ საკითხებს ბავშვთა ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების შესახებ.

უმეტეს შემთხვევაში არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს სამედიცინო მომსახურება სასპორტო სკოლებში.

განათლების ადგილობრივი ორგანოები სისტემატურ და კვალიფიციურ დახმარებას არ უწევენ სპორტულ და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, არ ღებულობენ ქმედით ზომებს ბავშვთა შორის სპორტულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ნაკლებ დახმარებას უწევენ თავიანთ სპორტულ სკოლებს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები, რომელთა მთელი მუშაობა შემოფარგლულია სპორტის ცალკეულ სახეობებში რესპუბლიკის ქალაქებში არსებულ მეტად მცირერიცხოვანი ჯგუფებით, რაც ვერ უზრუნველყოფს დამწყებ მოსწავლეთაგან მაღალი თანრიგის სპორტსმენების მომზადებას.

ბავშვთა შორის სპორტული მუშაობისადმი უყურადღებობას იჩენენ აგრეთვე საქალაქო და რაიონული სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოები.

ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული ბავშვთა შორის სპორტული მუშაობის კოორდინაციისა და დაგეგმვის საკითხები.

ბავშვთა შორის სპორტულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი ადგენენ.

1. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების (სადაც სპორტული სკოლები არსებობენ) განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) გააუმჯობესონ სპორტული სკოლების მუშაობაზე ხელმძღვანელობა და კონტროლი; სისტემატურად განიხილონ საკითხები და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა სპორტული ზრდისათვის უკეთესი პირობების შექმნას, (საუკეთესო კადრების სპორტსკოლაში დამაგრება, მწვრთნელთა პასუხისმგებლობის გაზრდა, მოსწავლეთა კოლექტივის სპარტაკიადისათვის მომზადება, სკოლების დირექტორების მიერ სპორტსკოლის დაკომპლექტებაში დახმარების გაწევა, სასპორტო ბაზების წესრიგში მოყვანა და სხვა);

ბ) პერიოდულად შეამოწმონ სპორტული სკოლების მუშაობა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით შექმნან საჭირო პირობები სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რომ შესაძლებელი იქნას ადგილებზე მაღალთანრიგოსანი მოსწავლე-სპორტსმენების მომზადება;

გ) შეამოწმონ დაქვემდებარებული სპორტული სკოლები და წარმოადგინონ წინადადება სპორტსკოლების განყოფილებების გამსხვილების შესახებ მრავალპროფილიანობის ლიკვიდაციის ხარჯზე;

დ) შექმნან ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბჭოები სასკოლო ასაკის ბავშვთა შორის მუშაობისათვის, რომელშიც განათლების განყოფილების გამგის, სპორტკავშირის თავმჯდომარისა და სასპორტო სკოლის დირექტორის გარდა, შეყვანილ უნდა იქნენ კომკავშირის ორგანიზაციებისა და იმ ნებაყოფლობითი საზოგადოების წარმომადგენლები, რომელნიც ატარებენ სპორტულ მუშაობას ბავშვთა შორის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტს (ამხ. გ. მერკვილაძე), საქართველოს სპორტკავშირის მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილებასთან ერთად, გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა სპორტული სკოლების მუშაობაზე, რისთვისაც:

ა) 1963 წლის 1 აპრილამდე დაამუშაოს და დაუგზავნოს სასპორტო სკოლებს მითითებანი მათი მუშაობის შესახებ (ადმინისტრაციის, მასწავლებელ-მწვრთნელების, უფროსი მწვრთნელების უფლება-მოვალეობანი, ცალკეული ტიპის ჯგუფების სასწავლო მუშაობის გრაფიკი, სასკოლო და სამეურნეო მუშაობის შესახებ ინსტრუქცია და სხვა);

ბ) 1963 წლის 15 აპრილამდე დაამუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად განათლების სამინისტროსა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბჭოს სპორტული სკოლების ახალი დებულება.

გ) დაამუშაოს ახალი დებულების შესაბამისად სპორტსკოლის

პროგრამები (სპორტის ყველა სახეში) ქართულ ენაზე და დაუგზავნოს ადგილებს 1963 წლის 1 სექტემბრამდე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სისტემატურად შეამოწმოს ცალკეული სპორტული სკოლების მუშაობა და საჭირო შემთხვევაში წარმოადგინოს საკითხები კოლეგიაზე განსახილველად;

ე) შეისწავლოს რესპუბლიკაში სპორტული სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზების მდგომარეობა და წარმოადგინოს სათანადო წინადადებანი მათი გაუმჯობესების მიზნით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკურ სასპორტო სკოლას (დ. კინწურაშვილი):

ა) შეადგინოს შინაგანაწესი უფროსი და მთავარი მწვრთნელებისა და სხვა პერსონალის უფლება-მოვალეობის შესახებ და ამის მიხედვით დაუდოს მათ ხელშეკრულება სპორტული და პედაგოგიური ვალდებულების ზუსტი განსაზღვრით;

ბ) წარმოადგინოს წინადადებანი ფილიალების მუშაობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაუმჯობესების შესახებ;

გ) შეისწავლოს ქალაქებში გახსნილი სპორტული ჯგუფების მუშაობა და, თუ ეს ჯგუფები ვერ ამართლებენ დანიშნულებას, წარმოადგინოს წინადადება ამ ჯგუფების დახურვის შესახებ;

დ) ერთი კვირის ვადაში უზრუნველყოს ნაკრები გუნდების წვრთნისათვის საჭირო დოკუმენტაციის შედგენა (სასწავლო გეგმა, პროგრამები, ხარჯთაღრიცხვები და სხვა);

ე) ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის დავალებით და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ჩაატაროს მოსწავლეთა სასწავლო საწვრთნელი შეკრებები;

4. გაფრთხილებული იქნან რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორი დ. კინწურაშვილი და სასწავლო ნაწილის გამგე შ. მუხიგულაშვილი, არ დაუშვან მწვრთნელთა მუშაობის არასწორი ანაზღაურება, სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო დოკუმენტაცია, დააწესონ სათანადო კონტროლი სასწავლო გეგმების შესრულებაზე, აწარმოონ მწვრთნელების მიერ ჩატარებული მუშაობის ზუსტი აღრიცხვა.

მათვე მკაცრად დაიცვან მივლინებაში მყოფ პირებზე სამივლინებო თანხების გაცემის წესი საკავშირო სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ინსტრუქციის შესაბამისად.

5. დაევალოს სპორტული სკოლის დირექტორებს:

ა) უზრუნველყონ სპორტული სკოლის საფეხურის ჯგუფებთან

სასწავლო მუშაობის გაუმჯობესება, რისთვისაც მწვრთნელთა საბჭოებთან ერთად დასახონ სათანადო ღონისძიებანი;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ ჯგუფების დაკომპლექტებას კარგი სპორტული მონაცემების მქონე ბავშვებით და გაატარონ ღონისძიებანი დენადობის შემცირებისა და მაღალთანრიგოსან მოსწავლეებთან მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

გ) მოიყვანონ სრულ წესრიგში სპორტული სკოლის დოკუმენტაცია, მწვრთნელთა მუშაობის აღრიცხვა და სასწავლო-მატერიალური მეურნეობა;

დ) არ დაუშვან კანონით გაუთვალისწინებელი შემთავსებლობა;

ე) სისტემატურად შეამოწმონ სპორტსკოლების ჯგუფების მუშაობა და განიხილონ მწვრთნელთა საბჭოზე სასწავლო პროცესის ცალკეული საკითხები, აამაღლონ მწვრთნელთა პასუხისმგებლობა, არ დაუშვან პროგრამისა და გაკვეთილის გეგმის გარეშე მეცადინეობის ჩატარება.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სოხუმის სპორტთამაშობათა სპორტული სკოლის დირექტორი ხ. მამაცევი მოხსნილია სამუშაოდან სპორტსკოლის მუშაობაში დაშვებული დარღვევების გამო.

7. ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სპორტული სკოლების მუშაობას, დაუთმონ სპორტულ სკოლებს სათანადო ბაზები, გაატარონ ღონისძიებანი საშეფო მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

8. სხვადასხვა უწყებისა და ნებაყოფლობითი საზოგადოებების ხაზით ბავშვთა შორის სპორტული მუშაობის კოორდინაცია დაევალოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბჭოს.

9. დაევალოს კომისიას ამხ. ამხ. ი. ბეროზაშვილის, თ. მანაგაძის, გ. რცხილაძის, ი. ბაცელაშვილის, თ. ეგაძის, ი. ჭანტურიას და გ. მერკვილაძის შემადგენლობით განიხილოს:

ა) განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტისა და სასპორტო სკოლების დებულებები და წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას დასამტკიცებლად 1963 წლის 1-ლ მაისამდე;

ბ) ცალკეულ სპორტსკოლებში მომუშავე კადრების დატვირთვის, შემთავსებლობისა და წამყვანი მწვრთნელების სპორტსკოლებში ძირითად სამუშაოზე დამაგრების საკითხები და გაატაროს სათანადო ღონისძიებანი.

10. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართ-

ველომ (ა. კვაჭაძე), ფიზიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტთან ერთად, შეისწავლოს საკითხი განათლების სამინისტროს რესპუბლიკურ სასპორტო სკოლასთან ინტერნატის გახსნის შესახებ (60—80 კაცზე) და წარმოადგინოს წინადადება 1963 წლის 1 მარტამდე.

11. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, განიხილოს საკითხები საბავშვო სასკოლო სპორტული ინვენტარის დამზადების, ბავშვთა მოედნების და სპორტბაზების მშენებლობის დაგეგმვისა და ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ სპორტსკოლების საექიმო მომსახურების შესახებ.

12. „სახალხო განათლებისა" (გ. საჯაია) და „ლელოს" (ი. უგულავა) რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ გაზეთის ფურცლებზე ბავშვთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის საკითხები.

13. გაზეთ „ლელოს" რედაქციამ, განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტთან ერთად მოაწყოს რესპუბლიკის სპორტული სკოლების დათვალიერება და შედეგები გააშუქოს გაზეთის ფურცლებზე.

დათვალიერებაში გამარჯვებულთათვის დაწესდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამი გარდამავალი ალამი.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა
და ორგანიზაციების კავშირის
თავმჯდომარე **გ. სიხარულიძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 11 თებერვლის № 101 ბრძანება

## სიღნაღის რაიონის სკოლებში საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა სიღნაღის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის მდგომარეობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილებამ და საწარმოოსწავლებიანმა სკოლებმა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს საწარმოოსწავლებიანი სკოლების საწარმოო ბაზებით უზრუნველყოფის, მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის სწორი ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად. სკოლებსა და მათთვის შერჩეულ საწარმოო ბაზებში ზოგადტექნიკური საგნების, თეორიული და პრაქტიკული საწარმოო სწავლების სწორად წარმართვის მიზნით მოწყობილია სათანადოდ აღჭურვილი კაბინეტები, სასწავლო-საწარმოო საამქროები, მალები და ცალკე სამუშაო ადგილები მოსწავლეთა ინდივიდუალური მუშაობისათვის.

წნორის მექანიკურ ქარხანაში (დირექტორი ბ. ნ. დავითაშვილი), სადაც საწარმოო სწავლებას გადიან წნორის ქართული საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები, თეორიული საწარმოო სწავლებისათვის გამოყოფილია ცალკე ოთახი, რომელიც მოწყობილია საჭირო ხელსაწყოებითა და სათვალსაჩინო მასალით; პრაქტიკული საწარმოო სწავლებისათვის გამოყოფილია ცალკე სასწავლო-საწარმოო საამქრო, სადაც დადგმულია სათანადო ჩარხები, დაზგები და იარაღები; მოწყობილია გარდერობი სპეციალური კარადებით; მოსწავლეთათვის შეძენილია სპეცტანსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის საშუალებანი. ასევე კარგად არის მოწყობილი წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს (გამგე ნ. ი. სხვიტარიძე) სამკერვალო საამქრო,

სადაც შექმნილია ნორმალური პირობები მოსწავლე გოგონების სწავლისა და მწარმოებლური შრომისათვის. ანაგის საშუალო სკოლაში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმცოდნეობის სწავლებისათვის გამოყოფილია შესაფერისი სათავსო, რომელიც უზრუნველყოფილია მანქანის ცალკეული დეტალებით, კვანძებით, შესასწავლი ძრავას მექანიზმებითა და აგრეგატებით, სასწავლო პლაკატებით, სქემებით, მოდელებითა და სხვა მასალით. ამავე რაიონის ტიბაანის საშუალო სკოლას კოლმეურნეობამ მუდმივ სარგებლობაში გადასცა 6 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთი, რაზედაც გაშენებულია ვაზი და ხეხილის ბაღი.

შემოწმებული სკოლების უმრავლესობა უზრუნველყოფილია სპეციალური განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით. ისინი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საწარმოო სწავლებისა და მოსწავლეთა მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის საქმეს, ზრუნავენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე, გულდასმით ემზადებიან ყოველდღიური მუშაობისათვის, სწავლებაში იყენებენ უახლეს მეთოდებს, დაუფლებული არიან საგანს, მისი სწავლების მეთოდებს და მაღალ აკადემიურ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს. ასე, მაგალითად, ანაგის საშუალო სკოლის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმცოდნეობის მასწავლებელი ინჟინერ-მექანიკოსი გ. ვარამაშვილი ახალი მასალის ახსნისას კარგად იმარჯვებს ფიზიკისა და ქიმიის სასკოლო კურსიდან მოსწავლეთათვის ცნობილ კანონებს, ცნებებსა და დებულებებს, რის შედეგადაც მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა აქვთ ძრავასა და მის მექანიზმებზე; IX კლასის მოსწავლეები კარგად ფლობენ თანამედროვე ტრაქტორების მუშაობის პრინციპს, მათ ძირითად მექანიზმებს, შიდაწვის ძრავების კლასიფიკაციას სამუშაოს პროცესების მიხედვით, ერკვევიან სხვადასხვა ტიპის ძრავას სიმძლავრეში. არბოშიკის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ბ. ჩიკვაიძე) კარგად იციან მსხვილი რქოსანი საქონლის კვების რაციონი, რეჟიმი და თავისებურებანი ბაგური და საძოვრული შენახვის პირობებში, დაუბმელი შენახვის წესი და მისი უპირატესობა, ცხოველთა პროდუქტიულობის განსაზღვრა და სხვ. ასევე კარგად მუშაობს ანაგის საშუალო სკოლის მეცხოველეობის მასწავლებელი ა. დალაქიშვილი.

საწარმოო სწავლების შემოღებამ, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების საგნებს შორის კავშირის განმტკიცებაზე ზრუნვამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სწავლების დონის ამაღლებას და მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცებას. თუ, მაგალითად, წნორის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავ-

ლეთა აკადემიური მოსწრება 1961—1962 სასწავლო წლის პირველ მეოთხედში 72% არ აღემატებოდა, მიმდინარე სასწავლო წელს IX კლასში ამავე პერიოდისათვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწავლრება 88%-მდე გაიზარდა.

ბიბლიოთეკა

მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა, სილნაღის რაიონის საწარმოოსწავლებიან რიგ სკოლებში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. ზოგიერთი სკოლისა და წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ სკოლებისათვის საჭირო საწარმოო ბაზების მოწყობაზე, რის შედეგად ამ სკოლებში დაბალ დონეზე ტარდება როგორც თეორიული მეცადინეობა, ისე პრაქტიკული საწარმოო სწავლება.

წნორის საკონსერვო ქარხანაში, სადაც საწარმოო სწავლებას გადიან წნორის რუსული საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები, გამოყოფილი არაა ოთახი თეორიული სწავლებისათვის და პირველ ეტაპზე პრაქტიკული საწარმოო სწავლება ინდივიდუალური წესით მიმდინარეობს. ამის შედეგად მოსწავლეები მაყურებლის როლში გამოდიან და აქტიურ მონაწილეობას ვერ ღებულობენ მწარმოებლურ შრომაში; არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლეები დასაქმებული არიან არაკვალიფიციური შრომით. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი სილნაღის ხალიჩების საქსოვ და სამკერვალო ფაბრიკებში, სადაც საწარმოო სწავლებას გადიან სილნაღის საშუალო სკოლის IX და X კლასების მოსწავლეები. ხალიჩების საქსოვ ფაბრიკაში მოსწავლეები სარდაფში მუშაობენ და სრულიად არ არის დაცული უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესები.

სოფლის საწარმოოსწავლებიანი სკოლებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები ბევრგან კეთილმოუწყობელია, დაუგეგმავია, არ ტარდება საცდელი მუშაობა, მოუგვარებელია ასაკის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო ინვენტარითა და სპეც-ტანსაცმელით მოსწავლეთა მომარაგების საქმე.

ზოგიერთ სკოლაში სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ზოგადტექნიკური, ზოგადაგრონომიული და პროფესიული მომზადების საგნების სწავლებაში, რის შედეგადაც ამ სკოლებში დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. ტიბაანის (მასწავლებელი ქ. წაწალაშვილი) და ზემო ქედის (მასწავლებელი ა. ჩოხელი) IX კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან ვაზის ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებანი, მისი განვითარების სტადიები, მოსავლიანობის გადიდების საშუალებანი და სხვ. წნორის საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი მ. მჭედლიშვილი) მოსწავლეები სუსტად ერკ-

ვევიან ტრაქტორების მარკებში, საწვავისა და ზეთების სახეებში, დიზელის ძრავების გამშვებ მოწყობილობაში, ანთების სისტემაში და სხვ.

ზოგიერთი მასწავლებელი ნაკლებად იცნობს სკოლის სასწავლო-მოო ბაზას, თეორიულ სწავლებას არ უკავშირებს მოსწავლეთა პრაქტიკულ საქმიანობას, გაკვეთილებზე არ მოჰყავს წარმოებიდან აღებული მაგალითები და არ იყენებს თვალსაჩინოებას. მაგალითად, წნორის რუსული საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი ნ. მალალეტკინი) მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა არ აქვთ საკონსერვო ქარხნის დანადგარების მოქმედების ფიზიკურ პრინციპზე, სტერილიზატორებსა და სახარშავ ქვაბებში ორთქლის წნევასა და ტემპერატურაზე.

რიგ საწარმოოსწავლებიან სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა კაბინეტ-ლაბორატორიების შევსებას ისეთი ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა მიერ არჩეული სპეციალობის უკეთ დაუფლებას. ასევე, სათანადოდ არაა მოწყობილი სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები და სახელოსნოები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საწარმოო სწავლების პროცესში. წითელწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები შეუვსებელია საჭირო ხელსაწყოებით და მასალებით, სახელოსნოები მოუწყობელია შრომითი სწავლებისათვის.

დასახელებული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ვერ ახორციელებს ქმედით დახმარებას და კონტროლს მასწავლებლის მუშაობაზე, არ ღებულობს დროულად ზომებს მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლებისათვის, წინასწარ საფუძვლიანად არ ეცნობა მასწავლებლის მუშაობას, გაკვეთილის გეგმებს, საგნის სწავლების ხერხებსა და მეთოდებს. მაგალითად, წნორის რუსული საშუალო სკოლის დირექტორს მ. კირაკოზოვს შემოწმების დღისათვის მოსმენილი ჰქონდა სულ 33 გაკვეთილი, მათ შორის არც ერთი არაა პროფესიული მომზადებისა და შრომითი სწავლების გაკვეთილი; ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. გასპიშვილს მოსმენილი აქვს 25 გაკვეთილი, აქედან საწარმოო სწავლების მასწავლებელთა მხოლოდ სამი გაკვეთილი.

პედკაბინეტი (გამგე მ. თანდაშვილი) ვერ ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს, რათა, ზოგადტექნიკური, ზოგადაგრონომიული და პროფესიული მომზადების დარგების მასწავლებლებმა სისტემატურად გაიმდიდრონ გამოცდილება. პოლიტექნიკური და სა-

წარმოო სწავლების მეთოდური გაერთიანების (ხელმძღვანელი ფ. ნარინდოშვილი) სამუშაო გეგმა შედგენილია უხარისხოდ, მასში შეტანილი არ არის აქტუალური მეთოდური ხასიათის საკითხები, და მოუგვარებელია ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგ სკოლებში მოუწესრიგებელია საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის აღრიცხვის საქმე. განსაკუთრებით ორ ქვეჯგუფად გაყოფილი კლასებისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

რაიონის განათლების განყოფილებამ გაითვალისწინოს ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, გაატაროს საჭირო ღონისძიებანი მათი აღმოფხვრის მიზნით და შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 20 მარტამდე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 28 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 12 თებერვლის № 102 ბრძანება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ 1962 წლის განმავლობაში

შემოწმებით დადასტურებულია, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად სამმართველოებსა და განყოფილებებში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმე შედარებით უკეთესად არის დაყენებული; გაზრდილია პასუხისმგებლობა და გულისხმიერი დამოკიდებულება მშრომელებისადმი; განცხადების დაკარგვის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

მიუხედავად აღნიშნულისა, ამ საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს, ზოგჯერ განცხადებებისა და საჩივრების განხილვა არ ხდება თავის დროზე. ადგილი აქვს განცხადებების განხილვის გაჭიანურების შემთხვევებს. არაიშვიათია, როდესაც გაზეთების რედაქციებიდან გამოგზავნილი მშრომელთა განცხადებები და საჩივრები თავის დროზე არ მოწმდება და პასუხი დანიშნულებისამებრ დაგვიანებით იგზავნება.

ასე, მაგალითად, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციიდან გამოგზავნილი მასწავლებელ ჩხობაძის მამხილებელი წერილი, რომელიც შეეხებოდა ვანის რაიონის საპრასიის საშუალო სკოლის დირექტორის მუშაობას, სკოლების სამმართველოს გადაეცა 1962 წლის 4 მაისს, პასუხი შემოწმების შედეგებზე ეცნობა რედაქციას 6 ივლისს, ე. ი. ორი თვის შემდეგ.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციიდან 14 მარტს მიღებულ მასწავლებელ კოკოევას განცხადებაზე, ცხინვალის რაიონის ხედას საშუალო სკოლაში საწარმოო სწავლების საათების არასწორად განაწილების შესახებ, სკოლების სამმართველომ რედაქციას პასუხი გაუგზავნა 29 მაისს, ე. ი. ორი თვის შემდეგ.

„უჩიტელსკაია გაზეტას" რედაქციიდან გამოგზავნილ წერილზე, რომელიც მიიღო სამმართველომ 3 თებერვალს, რედაქციას პა-

სუხი გაეგზავნა 4 მაისს, ე. ი. 3 თვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშულ საკითხზე საპროექტო ინსტიტუტიდან საჭირო მასალა სამმართველომ დროულად მიიღო.

24 აპრილს „უჩიტელსკაია გაზეტას“ რედაქციიდან მიღებულ კორესპონდენციაზე, სეზონური საბავშვო ბაღის გახსნის შესახებ, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ პასუხი გაუგზავნა რედაქციას 14 ივნისს, ე. ი. ორი თვის შემდეგ.

„უჩიტელსკაია გაზეტას“ რედაქციიდან მიღებულ სტოროჟევას განცხადებაზე, ბაბუშერის სკოლა-ინტერნატში სამუშაოზე აღდგენის შესახებ, კადრების განყოფილებამ პასუხი გაუგზავნა რედაქციას 32 დღის შემდეგ, ხოლო „იზვესტიას“ რედაქციიდან 4 მაისს მიღებულ მეზვრიშვილის განცხადებაზე სამუშაოზე გაგზავნის შესახებ—პასუხი გადაეგზავნა რედაქციას 2 ივლისს, ე. ი. ორი თვის შემდეგ.

ანალოგიურ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაშიც.

რიგი რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეები, ზოგჯერ მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან განათლების სამინისტროს დავალებების შესრულების საქმეს და საჭირო მასალებს, რაც განათლების სამინისტროში შემოსულ განცხადებებსა და საჩივრებთან არის დაკავშირებული, გზავნიან დიდი დაგვიანებით.

ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც განმცხადებლებს არ ეგზავნებათ ამომწურავი პასუხები.

ზოგჯერ სამმართველოებსა და განყოფილებებში მიღებულია განცხადებები საერთო კანცელარიაში რეგისტრაციის გარეშე.

მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. სამმართველოებისა და განყოფილებათა უფროსებმა:

ა) მთელი პასუხისმგებლობითა და გულისხმიერებით განიხილონ მშრომელთა განცხადებები და საჩივრები, მიიღონ ზომები განცხადებებში აღნიშნული საკითხების საფუძვლიანად და დროულად შესწავლისათვის და ამომწურავი პასუხები გაუგზავნონ განმცხადებლებსა და სათანადო ორგანოებს;

ბ) მშრომელთა წერილებში აღნიშნული საკითხების შესწავლის დროს ყურადღება გაამახვილონ საჩივრების გამომწვევ მიზეზებზე და ადგილებზე გაატარონ საჭირო ღონისძიებანი;

გ) სისტემატური კონტროლი დააწესონ, რათა განათლების

ადგილობრივი ორგანოები დროულად უგზავნიდნენ განათლების სამინისტროს ამომწურავ პასუხებს გადაგზავნილ განცხადებებსა და საჩივრებზე.

ყოველი კვარტალის ბოლოს დააჯამონ და გააანალიზონ მელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შედეგები და საკითხი განიხილონ საწარმოო თათბირებზე.

დ) არ დაუშვან განცხადებების მიღება სამინისტროს საერთო კანცელარიაში რეგისტრაციის გარეშე.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სამინისტროს უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა უფროსებმა მიიღონ ზომები მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების დროულად და საფუძვლიანად განხილვისათვის, პერიოდულად მოისმინონ საკითხი კოლეგიებსა და განათლების საბჭოების სხდომებზე და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

3. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებამ კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 8 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ. 12 თებერვლის № 104 ბრძანება

### 1961/1962 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

გავეცანი რა 1961/1962 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ მისაღები გამოცდები წარმატებით ჩაბარა და ჩარიცხულ იქნა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში—289 აბიტურიენტი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში—627, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში—227, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში—58, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო ინსტიტუტში—14, საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში—12, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში—38, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში—142, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში—76 აბიტურიენტი. სათანადო მომზადება გამოამჟღავნეს ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, და თელავის, გეგეჭკორის, მახარაძის, ზესტაფონის, წყალტუბოს, ორჯონიკიძის რაიონების ზოგიერთი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა.

მიუხედავად ამისა, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებმა გამოცდებმა გამოამჟღავნეს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილის მომზადების დაბალი დონე, რაც შედეგია სკოლის დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებელთა მიერ მომთხოვნელობა-კონტროლის დაქვეითებისა და დაუშვებელი ლიბერალიზმისა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში.

1961/1962 სასწავლო წელს კურსდამთავრებულთაგან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში 376 აბიტურიენტიდან 168 აბიტურიენტმა,

ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში—1387-დან 717-მა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში—711-დან 422-მა, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში—168-დან 92-მა, ა. ბ. ბენინის სახელობის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში 72-მა აბიტურიენტმა და ა. შ.

1961/1962 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებიდან არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში: ქიმიაში—376-დან 93-მა, ფიზიკაში—283-დან 50-მა აბიტურიენტმა; ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: მათემატიკაში (წერა)—692-დან 192-მა, მათემატიკაში (ზეპირი)—912-დან 165-მა, ფიზიკაში—715-დან 44-მა, ხაზვაში—226-დან 112-მა, ქიმიაში—460-დან 105-მა აბიტურიენტმა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში: ფიზიკაში—205-დან 89-მ, მათემატიკაში (ზეპირი)—220-დან 72-მა, ქართულ ლიტერატურაში (წერა) 711-დან 29 აბიტურიენტმა.

უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებულმა გამოცდებმა ცხადყო, რომ ქართულ ლიტერატურაში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა სუსტად იცის ქართველი მწერლების ნაწარმოებთა შინაარსი და ვერ ახერხებს მათ იდეურ-მხატვრულ ანალიზს. არ შეუძლიათ თხზულებათა დამოუკიდებლად წერა, მიჩვეულნი არიან „შპარგალკების“ გამოყენებას, უშვებენ უხეშ მორფოლოგიურ, სტილისტიკურ, პუნქტუაციურ და სხვა სახის შეცდომებს.

ცოდნის დაბალი დონე გამოამჟღავნეს ქართულ ლიტერატურაში ვერცხლის მედალოსნებმა: მ. ი. თვალიაშვილმა (ახმეტის რაიონი, ოჟიოს საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ჯეჯელაშვილი, მასწავლებელი ვ. აბელაშვილი), ლ. მ. ცერცვაძემ (ლაგოდეხის რაიონი, ლელიანის საშუალო სკოლა, დირექტორი კ. სხირტლაძე, მასწავლებელი ე. სხირტლაძე).

სუსტი მომზადება გამოამჟღავნა რუსულ ენაში ოქროს მედალოსანმა ი. ი. ნადარეიშვილმა (აბაშის რაიონი, ონტოფოს საშუალო სკოლა, დირექტორი მ. ნადარეიშვილი, მასწავლებელი ნ. ჟვანია).

ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს უცხო ენაში ოქროს მედალოსანმა ა. რ. ჭოლოკავამ (წულუკიძის რაიონი, მათხოჯის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. უგულავა, მასწავლებელი ნ. წვერავა), ვერცხლის მედალოსანმა ნ. ვ. მაისეიამ (წულუკიძის III საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ძიძავა, მასწავლებელი ლ. მაჭარაძე).

აბიტურიენტთა ერთმა ნაწილმა მათემატიკაში წერით გამოც-

დებზე მიცემული ერთი ამოცანიდან და ორი მაგალითიდან ვერ ერთის ამოხსნა ვერ შესძლო. მათ ვერ შესძლეს ამოცანის პირობის მიხედვით განტოლების შედგენა. მაგალითების ამოხსნისას ახერხეს ალგებრულ და ტრიგონომეტრიულ გამოსახულებათა მარტივება. მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე მათემატიკაში იმით არის გამოწვეული, რომ მასწავლებლები ნაკლებად ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე, კმაყოფილდებიან უბრალო სახის მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნით.

სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს მათემატიკაში ოქროს მედალოსნებმა: მ. ე. დეკტიაროვამ (თბილისის 110-ე საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ჩობანიანი, მასწავლებელი მ. ვანციანი), ლ. ი. გულიევამ (თბილისის 45 საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. სენოჟენსკაია, მასწავლებელი ლ. კოხნავერნაია); ვერცხლის მედალოსნებმა: მ. გ. შენგელიამ (ჩოხატაურის საშუალო სკოლა, დირექტორი ე. კუჭავა, მასწავლებელი ა. ჯიბუტი), ლ. შ. ქათამაძემ (მახარაძის მუშა ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ბოლქვაძე, მასწავლებელი ი. მუჯირი), ბ. გ. ტუხაშვილმა (სიღნაღის რაიონი, წნორის საშუალო სკოლა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ს. მჭედლიშვილი, მასწავლებელი ქ. ჯანყარაშვილი).

მეტად დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს ფიზიკაში ოქროს მედალოსნებმა: ჯ. ს. აკობიამ, დ. ზ. დალაქიშვილმა (ზუგდიდის II საშუალო სკოლა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და მასწავლებელი დ. მარღია), ე. ი. ზაფიროვამ (წალკის რაიონი, ბედიანის საშუალო სკოლა, დირექტორი ი. მანელოვი, მასწავლებელი ნ. კოლოსოვი), თ. ს. ჟორჟოლიანმა (მესტიის რაიონი, მულახის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. იოსელიანი, მასწავლებელი ე. ზურაბიანი); ვერცხლის მედალოსნებმა: ნ. თ. ათაბეგოვმა (ბოლნისის რაიონი, კაზრეთის საშუალო სკოლა, დირექტორი დ. ათაბეგოვი, მასწავლებელი ფ. გოგებაშვილი), ს. მ. კატანოვმა (თბილისის 72-ე საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ლიტანიშვილი, მასწავლებელი ლ. ბრაუდე), ვ. ა. გრომოჩკოვამ (თბილისის 96-ე საშუალო სკოლა, დირექტორი ზ. რუხაძე, მასწავლებელი ა. შაშნიანი), მ. ს. გიგაურმა (თბილისის 46-ე საშუალო სკოლა, დირექტორი თ. ჭანტურიშვილი, მასწავლებელი გ. შაყულაშვილი), ც. ვ. ძიძიგურმა (წულუკიძის რაიონი, მათხოჯის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. უგულავა, მასწავლებელი შ. მხეიძე).

სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს ქიმიაში ოქროს მედალოსნებმა: მ. მ. მიტიჩაშვილმა (გურჯაანის რაიონი, ველისციხის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ავალიშვილი, მასწავლებელი ნ. ყვა-

ვიაშვილი), ჯ. შ. ჯანაშვილმა (ლაგოდეხის საშუალო სკოლა, დირექტორი კ. ქებაძე, მასწავლებელი ნ. რუხაძე), ი. ს. ბულიამ (ზუგდიდის II საშუალო სკოლა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე დ. მარღია, მასწავლებელი შ. ალასანია), ს. ზ. ტატუაშვილმა (ყვარლის რაიონი, ენისელის საშუალო სკოლა, დირექტორი დ. მესაბლიშვილი, მასწავლებელი თ. ნაცვლიშვილი). ლ. ლ. ვაჩეიშვილმა (ჩოხატაურის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ბერუჩაშვილი, მასწავლებელი თ. ვაჩეიშვილი), ნ. ვ. ჯიბლაძემ (ლანჩხუთის რაიონი, ნიგოეთის საშუალო სკოლა, დირექტორი შ. მარუაშვილი, მასწავლებელი მ. ლეჟავა); ვერცხლის მედალოსნებმა: ა. ყ. ბაჯიაშვილმა (თეთრიწყაროს რაიონი, ბოგვის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. მაჭავარიანი, მასწავლებელი ი. ოგანეზოვი), ნ. თ. ნადირაძემ (სამტრედიის რაიონი, გომის საშუალო სკოლა, დირექტორი ო. სანიკიძე, მასწავლებელი ვ. ნიკოლეიშვილი), ზ. მ. გოგლიძემ (ხაშურის რაიონი, ალის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ნოზაძე, მასწავლებელი ნ. მახათაძე), რ. ი. დუნდუამ (აბაშის რ. 1-ლი მაისის საშუალო სკოლა, დირექტორი ლ. ჯანჯღავა, მასწავლებელი ნ. თურქია), მ. ვ. მოსაშვილმა (სიღნაღის რაიონი, წნორის საშუალო სკოლა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და მასწავლებელი ს. მჭედლიშვილი), ლ. ვ. სირაძემ (ჩოხატაურის II საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ბერუჩაშვილი, მასწავლებელი თ. ვაჩეიშვილი), გ. შ. მიმინოშვილმა (აბაშის II საშუალო სკოლა, დირექტორი მ. თელია, მასწავლებელი მ. მალაღურაძე).

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე, აგრეთვე, ცოდნის დაბალი დონე გამოამჟღავნა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის კურსდამთავრებულთა ერთმა ნაწილმა.

თბილისის 46-ე (დირექტორი თ. ჭანტურიშვილი და სასწავლო ნაწილის გამგე დ. სანაძე) და ზუგდიდის II (დირექტორი გ. ჩხოლარია, სასწავლო ნაწილის გამგე დ. მარღია) საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ცოდნის ასეთი დაბალი დონის მიზეზია დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების მხრივ მასწავლებელთა მუშაობისადმი სუსტი კონტროლი და მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასება.

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. გაუქმდეს თელავის რაიონის ოჟიოსა და მახარაძის მუშა ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლების პედაგოგიური [illegible] დადგენილებები მ. თვალიაშვილისა და ლ. ქათამაძის [illegible] დაჯილდოების შესახებ და მიეცეს მათ ჩვეულებრივი ნიმუშის ატესტატები. განათლების განყოფილებებმა 1963 წლის 25 თებერვლამდე უზრუნველყონ აღნიშნულ კურსდამთავრებულთა სახელზე გაცემულ ოქროსა და ვერცხლის მედლის ატესტატების დაბრუნება განათლების სამინისტროში და მათ ნაცვლად ჩვეულებრივი სახის ატესტატის გაცემა;

მიენდოს მახარაძის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ხ. ხავთასს შეისწავლოს ჩოხატაურის საშუალო სკოლის ვერცხლის მედლით დაჯილდოებულ კურსდამთავრებულ გ. შენგელიას საკითხი და დასკვნა წარმოადგინოს განათლების სამინისტროში.

2. მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლის, მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისა და დაბალი მომზადების მქონე კურსდამთავრებულთა გამოშვებისათვის ქ. თბილისის 46-ე საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. თ. ჭანტურიშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური, ხოლო ზუგდიდის II საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. გ. ჩხოლარიას მიეთითოს.

3. საგნის არადამაკმაყოფილებელი სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისათვის მასწავლებლებს: ვ. აბელაშვილს (ახმეტის რაიონი, ოჟიოს საშუალო სკოლა), ე. სხირტლაძეს (ლაგოდეხის რაიონი, ლელიანის საშუალო სკოლა), ნ. ჟვანიას (აბაშის რაიონი, ონტოფოს საშუალო სკოლა), მ. ვანციანს (ქ. თბილისის 110-ე საშუალო სკოლა), ა. ჯიბუტს (ჩოხატაურის საშუალო სკოლა), ი. მუჯირს (მახარაძის მუშა ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლა), გ. შაყულაშვილს (ქ. თბილისის 46-ე საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების სამინისტროებმა და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის განათლების განყოფილებამ შეისწავლონ 1961/1962 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგები და დასახონ საჭირო ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დასახელებულ სკოლებში შეისწავლონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) მიიღონ საჭირო ზომები იმ მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას, და ამ მხრივ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს 1963 წლის პირველ ივლისამდე.

5. ეს ბრძანება განხილულ იქნას რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დაისახოს საჭირო ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) საგაზაფხულო გამოცდების პერიოდში მიავლინოს სასკოლო ინსპექტორები ამ ბრძანებაში აღნიშნულ რაიონებსა და სკოლებში გამოცდების მიმდინარეობაზე სათანადო კონტროლის დასაწესებლად.

7. ბრძანების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში".

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 23 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი თ. **ლაშქარაშვილი**

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ. 28 თებერვლის № 155 ბრძანება

### ლენინგორის, სამტრედიის, ბორჯომის, ახმეტის, ქ. თბილისის კალინინისა და ორჯონიკიძის რაიონებში არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურებულია, რომ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებმა და განათლების განყოფილებებმა უკანასკნელ წლებში შეასუსტეს ყურადღება არასრულწლოვან ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვისა და მოწყობის საქმისადმი, რაც მტკივნეულ შედეგებს იწვევს. ამ ბავშვების შეუფერებელ პირობებში ყოფნა, მათი არადროული გამოვლინება და საყოფაცხოვრებო პირობების შეუსწავლელობა ხშირად ხდება სკოლიდან ბავშვთა და მოზარდთა მოწყვეტის, მათი პირადი და ქონებრივი უფლებების დარღვევის მიზეზი.

არის მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც რაისაბჭოს აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, ზოგან კი კომისიებს არ აქვთ უდედმამოდ დარჩენილ, მეურვეობაში მყოფი და გაშვილებული ბავშვების ასე თუ ისე ზუსტი აღრიცხვაც კი.

მცირე არაა ისეთი შემთხვევების რიცხვი, როცა განათლების განყოფილებები ბავშვებს აძლევენ პატრონატზე, მეურვეობასა და გაშვილებაზე ისეთ პირებს, რომელთაც არ შეუძლიათ ბავშვთა ნორმალურად აღზრდა, რაც გამოწვეულია იმით, რომ განათლების განყოფილებები არ აწარმოებენ შვილად ამყვანის ან მეურვეობაში მყოფი ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობების ზუსტად შესწავლას და შეუფერებელ ოჯახებში მოხვედრილი ბავშვები განიცდიან მატერიალურ სივიწროვეს.

ყველა რაიონსა და ქალაქში ჯერ კიდევ არ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 27 მარტის ბრძანებულებით დამტკიცებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

ასე მაგალითად, ლენინგორის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისია არ არის შედგენილი არსებული დებულების შესაბამისად, კომისიის შემადგენლობაში შედის მხოლოდ 5 კაცი; კომისიაში შეყვანილნი არიან ჯანმრთელობის, მილიციის, პროკურატურის და სოცუზრუნველყოფის განყოფილების წარმომადგენლები. კომისიას შემოწმების დროისათვის არც ერთი სხდომა არ ჰქონდა ჩატარებული.

ახმეტის რაისაბჭოს აღმასკომთან შექმნილი არასრულწლოვანთა საქმეების კომისია სრულ უმოქმედობას იჩენდა. კომისიის წევრებად შეყვანილმა მუშაკებმა არ იცოდნენ, რომ ისინი კომისიის წევრები არიან, მოუწესრიგებელი იყო პატრონატზე გადაცემისა და პატრონირებულ ბავშვებზე სახელმწიფო დახმარების გაცემის საქმე. პატრონატზე აყვანილ 32 ბავშვიდან პირადი საქმე გაფორმებული იყო მხოლოდ 28-ზე. პატრონირებულ ბავშვებზე არ იყო გაფორმებული დებულების შესაბამისად ხელშეკრულება. არ მოწმდებოდა ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობები. არ წარმოებდა ასაკის შესრულების შემდეგ პატრონირებული ბავშვების სიიდან ამოღება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კოლმეურნეობებსა ან საბჭოთა მეურნეობებში მუშაობენ და ეწევიან დამოუკიდებელ ცხოვრებას. ახმეტის, ლენინგორის, სამტრედიის, ქ. თბილისის ორჯონიკიძის, კალინინის და სხვა რაიონების სკოლების დირექტორებსა და გამგეებს არ ჰქონდათ ჩატარებული უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა აღრიცხვა, ამავე რაიონებში არადამაკმაყოფილებლად ზრუნავენ მათ მოსაწყობად სათანადო სამუშაოზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. განათლების განყოფილებათა გამგეებმა გადაჭრით გააუმჯობესონ უდედმამოდ და უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვთა შორის მუშაობა, რისთვისაც:

ა) საფუძვლიანად აწარმოონ მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვებისა და მოზარდების მდგომარეობის შესწავლა და აღრიცხვა და უზრუნველყონ მათი სათანადო წესით პატრონირება;

ბ) შეამოწმონ პატრონირებული და მეურვეობაზე მყოფი თითოეული ბავშვის ოჯახური პირობები; სისტემატურად განიხილონ ბავშვთა და მოზარდთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის საკითხები და იზრუნონ მათი სწავლა-აღზრდისათვის საჭირო ნორმალური პირობების შესაქმნელად და შემოწმების შედეგები განსახილველად წარუდგინონ ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა

დეპუტატების საბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უდედმამოდ დარჩენილი ის ბავშვები და მოზარდები, რომელნიც არადამაკმაყოფილებელ პირობებში იმყოფებიან, გადაიყვანონ საბავშვო დაწესებულებებში;

დ) პრაქტიკაში დანერგონ და განახორციელონ სკოლის დირექტორების (გამგეების) ანგარიშების მოსმენა არასრულწლოვანთა უფლებების დაცვისა და მათთვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფის შესახებ.

2. დაევალოს სკოლების დირექტორებს სისტემატური მუშაობა ჩაატარონ ოჯახებთან, სადაც იზრდებიან მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვები, მეტი ყურადღება გამოიჩინონ უდედმამოდ დარჩენილი ბავშვებისადმი, რეგულარულად შეამოწმონ მათი ცხოვრების პირობები და უზრუნველყონ ისინი საჭირო პედაგოგიური და ნივთიერი დახმარებით.

3. განათლების განყოფილებებმა არსებულ მითითებათა საფუძველზე, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1952 წლის ბრძანებათა და განკარგულებათა № 11—12 კრებულში, ერთი თვის ვადაში მოიყვანონ წესრიგზე პატრონირებულთა, მეურვეობასა და გაშვილებაზე მყოფ ბავშვთა პირადი საქმეები.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსებმა ადგილზე მივლინებულ ინსპექტორებს დაავალონ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებისა და განათლების განყოფილებების მუშაობის შესწავლა ბავშვთა უფლებების დაცვის დარგში და საჭირო ზომების მიღება არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

5. მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა მოწყობის საქმეში რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ მოხსენდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკურ კომისიას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 22 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ. 28 თებერვლის № 156 ბრძანება

## სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

შემოწმებით და წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ წინა წელთან შედარებით გაუმჯობესდა სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობა. აშენდა სკოლამდელ დაწესებულებათა 1415 ადგილიანი 9 ტიპიური შენობა, გაიხსნა 40 დამატებითი ჯგუფი. ჩატარდა შეგუებულ შენობათა რეკონსტრუქცია, კაპიტალურად შეკეთდა და გაფართოვდა მოძველებული შენობები, ახლით შეიცვალა ხმარებიდან გამოსული დგამ-ავეჯი, კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახდა საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების ეზო-კარმიდამო.

გაუმჯობესდა აღმზრდელთა შემადგენლობა, ამაღლდა მათი პედაგოგიური კვალიფიკაცია, რასაც ხელი შეუწყო სკოლამდელ მუშაკთათვის მოწყობილმა გადასამზადებელმა კურსებმა თბილისში, რუსთავში, სოხუმში, ზუგდიდში, ქუთაისსა და წყალტუბოში, აგრეთვე ლექცია-მოხსენებებმა, ინდივიდუალურმა და ჯგუფურმა კონსულტაციებმა, რესპუბლიკურმა და ზონალურმა თათბირ-სემინარებმა და ადგილებზე მეთოდგაერთიანებათა მუშაობამ.

სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეების უმრავლესობა უნარიანად ხელმძღვანელობს პედაგოგიურ-აღმზრდელობით და სამეურნეო ადმინისტრაციულ მუშაობას. გადადგმულია პირველი ნაბიჯები სკოლამდელ დაწესებულებებში მეთოდ-კაბინეტების შესაქმნელად (თბილისის №№ 68, 72 და 89 საბავშვო ბაღები), რომლებიც სასარგებლო დახმარებას უწევენ დამწყებ პედაგოგებსა და საერთოდ, სკოლამდელ მუშაკებს კონსულტაციებით, მეთოდური ლიტერატურითა და თვალსაჩინო მასალებით.

რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობა პედაგოგიურ-აღმზრდელობით მუშაობას გეგმიანად და პროგრამის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით ატარებს და სავსებით სწო-

რად, მთავარ ყურადღებას აქცევს ბავშვთა ფიზიკურ, მორალურ, ესთეტიკურ და შრომითი აღზრდის საკითხებს.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ყვარლის რაიონის სოფ. ოქტომბრის, თელავის რაიონის ზემო ალვანის, მაიაკოვსკის რაიონის სოფ. დიმის, ვანის, სამტრედიის რაიონის სოფ. ილორის, კულაშის, ზუგდიდის რაიონის წალენჯიხის, ოჩამჩირის რაიონის სოფ. კინდღის, ცხაკაიას რაიონის სოფ. უშაფათის, ნოსირის ჩაის ფაბრიკისა და ზოგიერთ სხვა საბავშვო ბაღებში სუსტია შრომის დისციპლინა, ირღვევა დღის რეჟიმი, მეცადინეობა აღსაზრდელებთან ფორმალურ ხასიათს ატარებს. ზოგიერთი ბაღის გამგეს და აღმზრდელს არ აქვთ სამუშაო გეგმა; არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც ტრაფარეტულად იმეორებენ გავლილი წლების სამუშაო გეგმებით გათვალისწინებულ საკითხებს, სუსტად მუშაობენ თავიანთ თავზე, სისტემატურად არ აღრმავებენ პედაგოგიურ კვალიფიკაციას და არ იცნობენ იმ სიახლეს, რომელსაც განათლების სამინისტრო აწვდის სკოლამდელ დაწესებულებათა პრაქტიკულ მუშაკებს.

სუსტად მუშაობს ზოგიერთი რაიონის მეთოდგაერთიანება. ორ წელზე მეტია რაც თვითნებურად შესწყვიტა მუშაობა ქ. თელავის სკოლამდელი აღზრდის მუშაკთა მეთოდგაერთიანებამ (ხელმძღვანელი ე. იობაშვილი), რომლის შესახებ განათლების განყოფილებამ არაფერი იცის. სუსტად მუშაობენ აგრეთვე მშობელთა კომიტეტები. იშვიათად იწვევა მშობელთა კრებები და კონფერენციები, პედაგოგიური და საწარმოო თათბირები, თუ იწვევა ისიც მოუმზადებლად. თათბირის ოქმები ზერელეა და მოკლებულია საქმიან შინაარსს.

მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, რესპუბლიკის საბავშვო ბაღებში ადგილი აქვს დარღვევებს კადრების შერჩევისა და დანიშვნის საქმეში. ნაცვლად სკოლამდელი განათლების მქონე მუშაკებისა, გამგეებად და აღმზრდელებად იგზავნებიან სტომატოლოგები, აგრონომები, ბიოლოგები, ქიმიკოსები და ა. შ.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სათანადო ყურადღება არ ექცევა სკოლამდელ დაწესებულებათა ნივთიერი ბაზის განმტკიცებას და გაფართოებას. იშვიათად ტარდება შენობების შეკეთება, ზოგჯერ რემონტის ხარისხი იმდენად დაბალია, რომ ხელახლა ხდება საჭირო მისი ჩატარება (ხაშურის, ზესტაფონის, ვანის, ქობულეთის საბავშვო ბაღები).

ყვარლის რაიონის სოფ. ოქტომბრის, გორის რაიონის ქა-

რელის, ხაშურის რაიონის სურამის, ქ. მარნეულის, გარდაბნის რაიონის სოფ. ვაშლაჯვრის, მაიაკოვსკის რაიონის სოფ. დიმის, წითელხევის, ვანის, ქ. სამტრედიისა და ზოგიერთი სხვა საბავშვო ბაღების ეზო-კარმიდამო კეთილმოუწყობელია. ცოტაა ან სრულიად არ აქვთ მწვანე ნარგავები, გაზონები, აუზები, ხელოვნური ნაკადულები, პავილიონები, სკოლამდელთა ეზოს სპორტული იარაღები და სხვ. საბავშვო ბაღებს მცირე რაოდენობით აქვთ დიდაქტიკური სათამაშოები, ხელსაწყოები, საბავშვო და მეთოდური ლიტერატურა, მაგარი დგამ-ავეჯი, სადილის ჭურჭელი და სხვა საჭირო მოწყობილობანი.

მოუგვარებელია საბავშვო ბაღების და ბაგა-ბაღების კვების პროდუქტებით მომარაგებისა და მისი ადგილზე შიტანის ორგანიზაცია. ხშირ შემთხვევაში ბაღები ვერ ღებულობენ რძეს და რძის ნაწარმს, ხილ-ბოსტნეულსა და ზოგიერთ რაიონებში აგრეთვე ხორცსა და კვერცხს.

დიდ დარღვევებს აქვს ადგილი აგარაკებზე ბინების დაქირავებისას საზაფხულო გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარების პერიოდში. განათლების ადგილობრივი ორგანოები აგარაკებზე ბინების დაქირავებას უშუალოდ ანდობენ საბავშვო ბაღების გამგეებს. ეს უკანასკნელნი თავის მხრივ ურიცხავენ ფულს ბინების გამქირავებლებს. საბავშვო ბაღის ზოგიერთი გამგე არაკეთილსინდისიერად იყენებს ამ ნდობას, რაც გამოიხატება ბინის გამქირავებლისათვის ზედმეტი თანხის გადახდაში. გარდა ამისა, ადგილი აქვს ბინების დაქირავებაზე ხელშეკრულების არასწორად გაფორმებას, ხოლო ზოგიერთი საბავშვო ბაღის გამგე ხელშეკრულებას სრულიად არ აფორმებს. (წალენჯიხის № 1 საბავშვო ბაღის გამგე ვ. ზარანდია, ოჩამჩირის რაიონის სოფ. კინდღის ჩ/ფ საბავშვო ბაღის გამგე ი. ქარჩავა, ცხაკაიას რაიონის სოფ. უშაფათის ჩ/ფ და ნოსირის დაფნის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღების გამგეები დ. ყურაშვილი და ა. კვაშალავა).

ზოგიერთი საბავშო ბაღი მოუმზადებლად და დაგვიანებით გადის აგარაკზე, თან მიჰყავთ ოჯახის წევრები, ნაცნობ-მეგობრები, რომლებიც უმთავრესად სკოლამდელ დაწესებულებათა აღსაზრდელების კვების ხარჯზე იმყოფებიან. მოუწესრიგებელია ბავშვთა პირადი საქმეები, განათლების განყოფილებათა მიერ შეუმოწმებელია იმ ბავშვთა სიები, რომლებიც გაყვანილ უნდა იქნან აგარაკებზე. მენიუ-მოთხოვნილებათა ფორმები შეუკერავი, დაუნომრავი და შეუმოწმებელია.

აღნიშნული გარემოება გამოწვეულია განათლების ადგილობ-

რივი ორგანოებისა და სამეურნეო უწყებათა სუსტი ხელმძღვანელობით.

განათლების განყოფილებები დიდი დაგვიანებით გზავნიან წლიური მუშაობის ანგარიშებს განათლების სამინისტროში. ზოგიერთ ახალქალაქის, მესტიის და მარნეულის განათლების განყოფილებებმა ანგარიში სრულიად არ წარმოადგინეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა განიხილონ ეს ბრძანება და დასახონ სათანადო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

გატარებულ ღონისძიებათა შესახებ ეცნობოს განათლების სამინისტროს მ/წლის 1 მაისამდე.

**ხაფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 22 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

1963 წლის 11 თებერვალი

### ქ. თბილისის სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლში მოსწავლეთა თვითმომსახურების ორგანიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ

ამჟამად, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ახორციელებს განათლების სისტემის გარდაქმნას, თვითმომსახურებითი შრომის სწორი ორგანიზაციისა და გეგმაზომიერი დანერგვის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ფორმირების საქმეში.

შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ზოგიერთმა სკოლამ, სკოლა-ინტერნატმა და საბავშვო სახლმა ამ საქმეში საკმაო გამოცდილება დააგროვა (თბილისის 1, 44-ე, 88-ე საშუალო სკოლები, V—VI სკოლა-ინტერნატები, ვაკის საბავშვო სახლი და სხვა), მაგრამ გარკვეულ ნაკლოვანებებს ამ ობიექტებშიაც აქვს ადგილი.

მიუხედავად იმისა, რომ დებულებით საკლასო ოთახების დაგვა I—IV კლასების მოსწავლეთა მოვალეობას არ შეადგენს, ფაქტიურად საკლასო ოთახების დაგვა-დასუფთავებას 68-ე საშუალო სკოლაში II კლასის, 44-ე, 64-ე, 69-ე საშუალო სკოლების III კლასების, 88-ე საშუალო სკოლის IV კლასის, V—VI სკოლა-ინტერნატებში II კლასის, IV ინტერნატში III კლასის, ხოლო I სკოლა-ინტერნატში IV კლასის მოსწავლეები აწარმოებდნენ.

რიგ შემთხვევაში საკლასო ოთახების დაგვა-დასუფთავებას მოსწავლეები აღმზრდელ-მასწავლებლების სათანადო მეთვალყურეობის გარეშე აწარმოებენ, ხოლო სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის არასაკმაო სიმაღლეზე დაყენების გამო, მოსწავლეები

ცუდად იცნობენ პირადი ჰიგიენის მოთხოვნებს, ჰაერის გაჭუჭყიანებისა და მტვერთან ბრძოლის საშუალებებს და ოთახებს გვიან მშრალი ცოცხით, დაგვისას არ აღებენ ფანჯრებს, თვითმომსახურებითი შრომის ჩატარების შემდეგ არ იბანენ ხელებს (თბილისის 23-ე, 25-ე, 64-ე საშუალო სკოლები, I—IV სკოლა-ინტერნატები).

ზოგან არ არის შექმნილი პირადი ჰიგიენის დაცვისათვის ყველა საჭირო პირობა, სახელდობრ:

მიმდინარე და "გენერალური დასუფთავების დროს მოსწავლეები არ ხმარობენ სპეცტანსაცმელს, ასეთის უქონლობის გამო.

ვაკის საბავშვო სახლისა და თბილისის სკოლა-ინტერნატების სასადილოებსა და სამზარეულოში არ გააჩნიათ მორიგე აღსაზრდელთათვის შესაფერისი ზომის თეთრი ხალათები და ქუდები.

№ 1 სკოლა-ინტერნატის გოგონების პირსაბან ოთახში პირსაბანის ნიჟარა უწესრიგო მდგომარეობაშია, რის გამოც ადგილი აქვს უსუფთაობას.

№ 4 სკოლა-ინტერნატში ბავშვებს ხშირად არა აქვთ წყალი, მიუხედავად იმისა, რომ საამისო გაყვანილობა წესრიგშია.

როგორც სკოლები, ასევე სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები არ არიან მომარაგებული დასუფთავებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებით. ისინი განსაკუთრებულ სიძნელეს განიცდიან ცოცხების შეძენის საქმეში, რადგან სპეციალურ მაღაზიას, რომელიც მასალების გადარიცხვით გაყიდვას აწარმოებს, 3 წლის განმავლობაში ცოცხები არ მიუღია. ამის გამო ადგილი აქვს მშობლების მიერ ცოცხების კერძო ბაზარზე შეძენის შემთხვევებს.

შემოწმებით გამოირკვა აგრეთვე ისიც, რომ სკოლებს და სკოლა-ინტერნატებს არ გააჩნიათ მტვრის სასრუტი მანქანა, ხოლო სპეციალურ მაღაზიას, სადაც ისინი დიდი რაოდენობით არის, უფლება აქვს ეს მანქანები გადარიცხვით მიყიდოს მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებებს.

სამედიცინო პერსონალი უმეტეს შემთხვევაში სუსტად ახორციელებს ზადამხედველობას მოსწავლეთა თვითმომსახურებაზე და არ ზრუნავს ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად, რის შედეგად თბილისის 64-ე საშუალო სკოლის მე-3 სართულის დერეფანი, და I სკოლა-ინტერნატის გოგონების პირსაბანი ანტისანიტარულ მდგომარეობაში იყო.

№ 2 სკოლა-ინტერნატის საწოლი ოთახებისა და დერეფნების დასუფთავების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია, ჯანმრთელობით

სუსტი მოსწავლეების სია თბილისის I, IV, V სკოლა-ინტერნატებში არ აღმოაჩნდათ (სიტყვიერად განაცხადეს, რომ ფიზიკურად სუსტებს თვითმომსახურების საქმიდან ათავისუფლებენ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის I—IV—V—VI სკოლა-ინტერნატებში ინფექციურ დაავადებათა შემთხვევებს (დეზინტერია, კანის სოკოვანი დაავადება) ჰქონდა ადგილი.

ვაკის საბავშვო სახლში აღსაზრდელები გაპიროვნებული არიან სამასწავლებლო ოთახის დასუფთავებაზე, ხოლო № 2 სკოლა-ინტერნატში დარაჯის უყოლობის გამო 15 მოსწავლეს კვირაში ერთხელ 3 საათის განმავლობაში მორიგეობა უხდება ეზოსა და დერეფნებში გაკვეთილების მიმდინარეობის დროს.

მოსწავლეთა თვითმომსახურების საქმეში შემოწმებით გამოვლინებული ნაკლოვანებების გამოსწორების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორებსა და პროფორგანიზაციის ხელმძღვანელებს გადამჭრელი ზომები მიიღონ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და განუხრელად დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებსა, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში მოსწავლეთა თვითმომსახურების შესახებ 1959 წლის 14 სექტემბერს დამტკიცებული დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნილებები.

2. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს და პროფკავშირის რაიონული და საქალაქო კომიტეტების თავმჯდომარეებს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმებისას სათანადო ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა თვითმომსახურებითი შრომის ორგანიზაციის საქმეს.

3. დაევალოს ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. თ. ეგაძეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების საშუალებით უზრუნველყოს სკოლები დალაგებისათვის საჭირო ყველა ხელსაწყოებითა და მასალებით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებას (ამხ. ს. არველაძე) გააუმჯობესოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სანტექნიკური ინვენტარით მომარაგების საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ განათლების | პროფკავშირის რესპუბლიკური |
| მ ი ნ ი ს ტ რ ი | კომიტეტის თავმჯდომარე |
| თ. ლაშქარაშვილი | ლ. მალლაფერიძე |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ. 2 მარტის № 164 განკარგულება

### საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ

სადირექტივო ორგანოების დადგენილებით რესპუბლიკის სკოლებში 1962—1963 სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან შემოღებულ იქნა ახალი საგნის „საზოგადოებათმცოდნეობის“ სწავლება. დასახელებული საგნის სწავლებისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან მოეწყო რესპუბლიკური კურსები, რომელიც გაიარა საზოგადოებათმცოდნეობის 179 მასწავლებელმა. კურსებმა დიდი დახმარება გაუწია პედაგოგებს საზოგადოებათმცოდნეობის წინაშე დასახული ამოცანებისა და სწავლების ორგანიზაციის საკითხების გარკვევაში.

გაზეთ „სახალხო განათლების“ ფურცლებზე იბეჭდება და ეგზავნება სკოლებს სახელმძღვანელოს პირველი თავები; დაჩქარებით მიმდინარეობს საზოგადოებათმცოდნეობის სახელმძღვანელოს ბეჭდვა.

ახალი საგნის სწავლება ისტორიის ასობით საუკეთესო მასწავლებელს დაევალა; მათი დიდი ნაწილი ამ დიდ ნდობას ღირსეულად ამართლებს. ამ მხრივ კარგი მუშაობით გამოირჩევიან თბილისის 23-ე (მასწავლებელი ნ. ცხომელიძე), 37-ე (მასწავლებელი გ. მახარაძე), 67-ე (მასწავლებელი გ. ვალიშვილი), მე-60 (მასწავლ. ვ. კუტალაძე), მე-18 (მასწავლებელი ს. ლორთქიფანიძე), მე-15 (მასწავლებელი შ. შეყლაშვილი და შ. გულორდავა), მე-10 (მასწავლებელი კ. კახიძე); თელავის მე-4 (მასწავლებელი ს. ლუარსაბოვი), 1-ლი (მასწავლებელი მ. კანანაძე); ცხაკაიას 1-ლი (მასწავლებელი ვ. მაქაცარია), ნოქალაქევის (მასწავლებელი ა. ბესელია), ძველი სენაკის (მასწავლებელი ა. ჯანჯღავა); ზუგდიდის რაიონის კორცხელის (მასწავ. ვ. ზარქუა), წალენჯიხის (მასწავლებელი უ. ფიფია), რუ-

ხის (მასწავლებელი ი. ურიდია); ხაშურის რაიონის ქვიშხეთის (მასწ. შ. ღონღაძე), სურამის II (მასწავლებელი დ. ხოჯაშვილი), გარდაბნის რაიონის დიღმის (მასწ. გ. კობიაშვილი) და [illegible] შუალო სკოლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელებული სკოლების მასწავლებლები მკაფიო და გასაგები ფორმით, სასწავლო პროგრამის შესაბამისად და ისტორიაში, ლიტერატურაში, ბიოლოგიაში, ფიზიკაში, ქიმიასა და სხვა სასწავლო საგნებში შეძენილ ცოდნაზე დაყრდნობით, მკაფიო წარმოდგენას აძლევენ მოსწავლეებს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონის შესახებ; განმარტავენ კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საფუძვლებს, ახასიათებენ სკკპ სიძლიერის წყაროებსა და მის გადამწყვეტ როლს კომუნიზმის მშენებლობაში. მასწავლებლები გაკვეთილებზე ფართოდ იყენებენ საუბრებს მოსწავლეებთან, უსმენენ მოსწავლეთა მოხსენებებს, ატარებენ სემინარული ტიპის მეცადინეობებს, იყენებენ კონკრეტულ მასალებს რესპუბლიკის, რაიონის, ქალაქის ცხოვრებიდან, იმ საწარმოს შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან, სადაც მიმდინარეობს მოსწავლეთა საწარმოო სწავლება. კურსის სწავლებისას ფართოდაა აგრეთვე გამოყენებული დიაპოზიტივები, კინოფილმები და სხვა თვალსაჩინო მასალები. ამ ნიადაგზე აღნიშნული სკოლები აღწევენ მასალის შეგნებულად შეთვისებას, მოსწავლეებს უღვივებენ ინტერესს მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი, თანამედროვეობის აქტუალური პრობლემებისადმი.

მაგრამ რესპუბლიკის სკოლების საკმაოდ დიდ ნაწილში როგორც ქალაქად, ასევე სოფლად ამ საგნის სწავლების შემოღებას ვერ შეხვდნენ სათანადო პასუხისმგებლობით და ჯერ-ჯერობით ვერ იყენებენ ყველა იმ საშუალებას, რაც აუცილებელია მისი სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ, მაგალითად, ზუგდიდის რაიონის წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, გარდაბნის რაიონის გლდანისა და რესპუბლიკის ზოგიერთი სხვა საშუალო სკოლების მოსწავლეებმა ამ საგანში შესწავლილი მასალა მტკიცედ არ იციან; ხარვეზებით ხასიათდება საზოგადოებათმცოდნეობის სწავლება ქ. თბილისის № 49-ე, 57-ე, 58-ე სკოლებშიც.

ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა უმეტესობას დღემდე არა აქვს შესწავლილი და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განხილული აღნიშნული საგნის სწავლების საკითხი. პედაგოგიური კაბინეტებიც, აგრეთვე, ჯერ-ჯერობით არ

შედგომიან საზოგადოებათმცოდნეობის მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განემარტოს განათლების ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს, საშუალო სკოლების დირექტორებსა და ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებს, რომ 1962—63 სასწავლო წლის ბოლოს დამამთავრებელი კლასების საგამოცდო ბილეთებში შეტანილი იქნება საკითხები მხოლოდ სსრ კავშირის ისტორიიდან და საზოგადოებათმცოდნეობიდან.

დაევალოს მათვე, ამის შესაბამისად დაგეგმონ ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობაში გაკვეთილების ჩატარება მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე.

2. ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დროულად შეისწავლონ სკოლებში საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მდგომარეობა, საკითხი განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე, დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ამ საგნის სწავლების მოწოდების სიმაღლეზე დაყენების უზრუნველსაყოფად;

ბ) ჩამოართვან საზოგადოებათმცოდნეობის საათები იმ მასწავლებლებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საგნის ხარისხოვნად სწავლებას და ეს გაკვეთილები გადასცენ ყველაზე მოწინავე და გამოცდილ მასწავლებლებს;

გ) პედაგოგიურ კაბინეტთან ერთად ფართოდ განაზოგადონ საზოგადოებათმცოდნეობის მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება და გახადონ იგი რაიონის, ქალაქის, ყველა მასწავლებლის კუთვნილებად; რეგულარულად და მაღალ დონეზე ჩაატარონ ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა რაიონული (საქალაქო) მეთოდგაერთიანებათა სხდომები.

3. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა პერიოდულად მოისმინონ საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა გაკვეთილები და ოპერატულად გაატარონ აუცილებელი ღონისძიებანი საგნის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის; განახორციელონ ღონისძიებანი, რათა სასკოლო ბიბლიოთეკებში საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებასთან დაკავშირებით ეწყობოდეს სათანადო ლიტერატურის თემატიკური გამოფენები.

4. საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებმა:

ა) იმგვარად აგეგმონ თითოეული გაკვეთილის ჩატარება, რომ მოსწავლეთა ცოდნა მტკიცე და ღრმა იყოს და ნამდვილად

უწყობდეს ხელს მოსწავლე ახალგაზრდობაში ქცევის ისეთი ნორმების შემუშავებას, რომლებიც დამყარებული იქნება კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მტკიცედ გაითვალისწინონ თითოეული გაკვეთილის აგება სხვა საგნებში შესწავლილი მასალისა და თვალსაჩინოების ფართოდ გამოყენებით და ისეთი მეთოდების მოშველიებით, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა ინიციატივის განვითარებას.

5. გაზეთ „სახალხო განათლების" და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ თავიანთ ფურცლებზე საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების საკითხები, ფართოდ განაზოგადონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება.

6. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე) გადამჭრელი ზომები მიიღოს საზოგადოებათმცოდნეობის სახელმძღვანელოს დროულად გამოცემის უზრუნველსაყოფად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 22 თებერვლის სხდომის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. ბრძანება № 65—ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 3
2. ბრძანება № 66—წულუკიძის, გორდისა და საგურამოს სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 8
3. ბრძანება № 67—თელავისა და ყვარლის რაიონების საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 14
4. ბრძანება № 73—საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულების მდგომარეობისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ . . . . . 16
5. დადგენილება № 4/9—საქართველოს სსრ სკოლების მოსწავლეთა შორის სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . 22
6. ბრძანება № 101—სიღნაღის რაიონის სკოლებში საწარმოო-სწავლებისა და მწარმოებლური შრომის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 31
7. ბრძანება № 102—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ 1962 წლის განმავლობაში . . . . . 36
8. ბრძანება № 104—1961—1962 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ . . . . . 39
9. ბრძანება № 155—ლენინგორის, სამტრედიის, ბორჯომის, ახმეტის, ქ. თბილისის კალინინისა და ორჯონიკიძის რაიონებში არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 45
10. ბრძანება № 156—სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . 48
11. დადგენილება—ქ. თბილისის სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლში მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ . . . . . 52
12. ბრძანება № 164—საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 56